

კარი ერთოსტელი

კოლხეთი
ფსალმენი

100-ტომეული



გამომცემლობა „კნივერსალი“
თბილისი 2020

საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და
საზოგადო მოღვაწთა საერთაშორისო აკადემია
„ეპლიუს-საქართველო“

საქართველოს მროველი აკადემია

კუსა ექისტელი



კოლეური ფსალმუნები

0169 ულეათა კრებული
100 ფომად


2020



საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და
საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია
„ეპლიუა-საქართველო“

საქართველოს ეროვნული აკადემია

კუკა ეჭილელი



კოლეური
ფსალმუნები

ტომი 67

2020



მთ. რედაქტორი

გოჩა ხარებავა

საქართველოს მწერალთა,
მეცნიერთა და საზოგადო
მოღვაწეთა აკადემია
„ქალდეა-საქართველო“-ს
აკადემიკოსი

© ვაჟა ეგრისელი, 2020

გამომცემლობა „კენიასალი“, 2020

თბილისი, 0186, ა. პოლიტკოს სასახლის №4, ტელ: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversal@gmail.com

ISBN 978-9941-26-572-3 (ყველა ტომისთვის)

ISBN 978-9941-26-874-8 (67 ტომი)



* * *

გაშა ებრისელი დაიგადა ხობის რაიონის სოფელ ხორბაში. განათლებით იურისტი და ინიციერია. 1983 წელს დაამთავრა მოსკოვის მასიმ გორგის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტუტი. ორმოცამდე ზოგნის აპტორია. თარგმნილი და ცალკე ზოგნებად აქვს გამოცემული საზღვარგარეთის ძველების მომცემის მიერ ანთოლოგია – „ოქროს მტკვანი“, ალექსანდრა სტირლინგ-კოზლოვას მოწოდებულია – „ბრიუსოველი – ალიო მაშავილი“, ვერდორ ტიუჩხევის ლექსები და სხვა.

1993 წელს გამოვიდა კოეფის ათასგვერდიანი, ორი ათასამდე ლექსის მოცემილი გრიფოვებული – „იმპენ ნაიობლი“ ხოლო 2002 წელს საქართველოს რესაუგლიკის გამოცემის „მოლოდინის“ გამოსცემის ვაშა ებრისელის „კოლხური შასლაუების“-ს ხუთომეტელის ათასზე მეტ გვერდიანი პირებით ფომი, რომელმაც ორიათასზე გაუთი კოეფილი მშნილება იყო დაეჭირილი. 2006, 2007, 2008 წლებში გამოვიდა კოეფის მეორე, მესამე, მეორეს ათას-ათას გვერდიანი ტომეულები, ხოლო 2011 წელს დაიგეჭდა კოეფის მესამე, 1575 გვერდიანი ტომი, რომელმაც 2500-ზე მეტი ლექსია დასტაბეჭდილი.

გაშა ებრისელის შემოქმედებაზე ორმოცამდე მოწოდრაზია დაწერილი და ცალკე ზოგნებად გამოცემული.

გაშა ებრისელი საქართველოს და მოცემის რამდენიმე მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრია... 2016 წლიდან საქართველოს მეცნიერთა, მეცნიერთა და საზოგადო მოწვავეთა საერთაშორისო აკადემია „ქალღეა-საქართველო“-ზ და საქართველოს ეროვნულია აკადემია დაიწყეს ქართული კოეფის რაინდის, საქართველოს მეცნიერთა აკადემიის, ვაჟა-ფშაველასა და გალაკტიონ ტაბიძის არენიების ლაურეატის, ღირსების ორდენის კავალერის, ქართული კულტურის ღმერანის გედლისა და „დიონსკურია 2005“-ის, მჯგიდობის მეცნიერის, ვარსკვლავისა და მჯგიდობის ღრმენის მფლობელის, სახალხო კოეფის, საქართველოს მეცნიერთა მეცნიერთა და საზოგადო მოწვავეთა საერთაშორისო აკადემია „ქალღეა-საქართველო“-ს პრეზიდენტის, საქართველოს ეროვნული და ვაზისის საერთ-სამცნეომრო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის,



ავხანეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი-აკადემიკოსის, საქართველოს განათლებისა და სამართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობებითა“ „ვარძის“, „აიას“ აკადემიკის ნადვილი წევრის, ჩატბლის, უზბღილის, ხობის, იყალთოს სა-აატიო მოქალაქის, ათას-ათას ხუთასხე მეტბვერდიანი ტო-მეუღების „კოლეჯი შასლაშვების“ (ოცდაათიათასხე მეტი ლექსი) აპტორის – ვაჟა უბრისების ახალი, ოჩული „კოლეჯ-რი შასლაშვების“ (ოცდაათომობულის გამოცემა. გამომცემ-ლობა „უნივერსალმა“ გამოსცა კოექტის ხუთასხე მეტბვერდი-ანი, უბადლეს კოლიგრაფიულ ღონისე შესრულებული ტომები. 2019 წლის მიზრულს გამოვიდა „კოლეჯი შასლაშვების“-ს 100-ტომეულის პირველი ათი ტომი. დანარჩენი 90 ტომია (უკლებლივ) მზის სინათლე იხილა 2020 წელს. გამსაღებულია დასახურდად ვაჟა უბრისების კლასისური კოექტის ათომობუ-ლი, აბრეტვე, კოექტისადმი მიძღვნილი ქართველი და უცხოე-ლი კოექტების, მეცნიერებისა და საზოგადო მოღვაწეების (ათასამდე აპტორი) წიგნების (მონოგრაფიების), სტატიების, წერილებისა და ლექსების ოცნებებული და სხვ.

2020 წლის 16 ოქტომბერს გაიგარია ვაზისის (კოლე-ტის) საერო-სამეცნიერო აკადემიის საერთო კრება, რომელ-მაც პრეზიდენტის ვაკანტურ ადგილზე დია კონსისტრი ერო-სხად აირჩია აგავე კადემიის 30ცე-კარეზიდენტი, ცხობილი კოექტი, ქართული კოექტის რაინდი, ქართული კულტურის დესანტი, „კოლეჯი შასლაშვების“ 100-ტომეულის აპტორი, იურიდიულ მეცნიერებათა საპატიო დოკტორი, აროგვესორი ვაჟა უბრისები.

გახ. „საქართველოს რესპუბლიკა“,
2020 წლის 22 ოქტომბერი

კყავს მეუღლე – გილდა სეხიშვილი (მღერალი) და ორი ვაქიტვილი ზრუბაბი და დაჩი (ორივე იურისტი) და სამი მვი-ლიშვილი – ვაჟა, ნატა და ლილე. იგი – მეცხევ შვილია (შვილი ქმა და ორი და).





პოეტის ასტომული „კოსმიური პოეზია“

ვაშა ებრისელის შესახებ დიდი ხნის ფინაც ვწერდი: „რქს-თველს აკაპის და ბალაპტიონს, ღმირთი არ მიწვენს ორგ შება-დარო. ბავხარ ზღვის ღმლვას და ნაზ სირსაც, როგ აზანზარებს ჩუმად სამყაროს...“

ამჟამად, როცა პოეტის ზდაპრული კოსმიური „შსალმუნების“ ჯერ არნახული, ჯერ არ გაგონილი, ხუთასუმ, ათასებ, ათას ხუთასუმ მიტგვერდიანი „პაჭაღლო“, ოქროს ყდაში ჩასული, ოცდათოტომეული ზავითხე, ჩამი ძველი აზრი რადიკალურად უარვებავი და... დღეს ქვეყნის ბასაბონად ხბამაღლა გაცხადებ: ვა-შა მბრისელი არც რუსთაველს, არც აკაპის, არც ბალაპტიონს და... არც მსოფლიოს, არც ძველსა და არც თანამედროვე კოეცს არა ჰპაპს...“

ის კრეისტურიული კოლხეთის „შუტაია“, არმის ჰალაში მდგა-რი მუხაა, რომელსაც ოქროს საჯმისი ეკიდა (რომელიც გერმენმა პი არა, ჰელაზგა იაზონება მედვეასთან ერთად როგ გაიტაცა).

დიახ, კოლხეთის მითიური ხელმოწის, აიეტის ხელი დარ-ბელი, ის ურნეულ მოდარაჯე მუხაა, რომლის ცადავადილ ტო-ტეპები, კოეჭმა ოქროს საჯმისის „ბონის“ მაბიერ თავისი „კოლ-ხერი შსალმუნების“ იგავითურვლომელი ასტომული დაკიდა და ბააცოცხლა, მიძინებული, დავიუყვის ნაცარიმიყრილი, არა მარ-ტო კოლხეთის, არამედ მიღროინდელი სამყაროს ოცდათოთხმე-ტებ მეტ საუკუნვანი მითებით, ლეგენდებითა და საოცენებით დახუნდული ისტორია, რაც კომერციიდან მოყოლებული (ძვ. წ. აღ. VIII საუკუნე) არც ერთი ქვეყნის, არც ერთ კალმოსანს არ გაუკითხავა.

100-ტომეული... ქვეყნის განენის დღიდან, XXI საუკუნის რის-რაქამდე, ასეთი (5-6 სტრიქონიანი) ფილოსოფიური, რელიგიური, მითოლოგიური, ყოვლისმოცველი კომია, ჯერ-ჯერობით არავის შეუძლია დედამიწაზე...

კოსმოსში კ...

დაგრდოს:

„აიეტის ზდაპრულ კოლხეთის, მტრობისა და სიძულვილის გვე-ლუშავი მისწოდია... მათ იციან იქ იღვება დედამიწის ისტორია“.

გულაზ ხარაიზვილი

კოეჭი, ბალაპტიონ ტაგიძის არევის დაურიატი,
ჯემბერ ლეხაგას სახელობის მეცნიერებათა
სამრთაშორისო აკადემიის არმზილენტი



„გულიგად შესვლი ყოველ შებას, ყოველ ძაბებას.“

ა. პუშკინი

ჭირის მაგისტრალის მაგისტრი

(დასასრული)

ვაჟა ეგრისელის მთელი პოეტური სამყარო წარმოადგენს სინამდვილის უმთავრესად ამაღლებული რომანტიკული ადქმის ნაყოფს. პოეტი ხშირად მომართავს ქართულ კლასიკური პოეტიკის ტრადიციულ სამკაულებს მის პოეტურ სახეებში თვითი პირველქმნილი ელვარებით კიაფობენ ძველი ქართული პოეზიიდან ნასესხები თვლები: ლალი, ზურმუხტი, საფირონი, მარგალიტის ცრემლები, ქარვა, ძოწი. მისი პოეტური სახეც თითქოს შინაგან შუქს გამოსცემს ამ ძვირფასი თვლების მსგავსად. სიყვარული, ვნება, ქალი, მისთვის მთელი სამყაროა. მის ლირიკულ ხილვათა არეალში საოცარი ვნებით იშმუშნება ქალი, — სინაზე, ოცნება, ჭაბუკური ხდომა და გატაცება მისი შთაგონების წყაროა და ამ შთაგონების შუქზე მას მთელი ქვეყანა, სინამდვილის ყოველი საგანი განსაკუთრებული ელფერით წარმოუდგება.



(ქართულმა კოლხურმა სიტყვამ ვაჟა ეგრისელის მეშვეობით გაისხენა თავისი თავი, მისი პოეზიის საშუალებით გადაწყვდა თავის სემანტიკურ ველს და აღიდგინა შინაგანი სამყაროს ტერიტორიული მთლიანობა) სიყვარულის ტახტრევანზეც მუდამ ახალ-ახალი ქალღმერთები უზის...

ლექსი „იყო სერობა“ საყურადღებოა იმით, რომ მღელვარე ფიქრებს იწვევს. სიყვარულის საოცარი ძალაა გადმოცემული ამ ლექსში. ადამიანის გულის საიდუმლოების ცოდნა, მისი ფაქიზად გადმოცემის ხელოვნება ასხივოსნებს პოეტურ სიტყვას.

რა ალამართალი სტრიქონებია ამ ლექსში, სიყვარული მარადიული კანონივითაა, ორი არსება თითქოს ერთ მელოდიად ქცეულა, ვის შეუძლია პოეტის გარდა, ასე დაინახოს სატრფოსთან სიახლოვის ამაღლებული განცდა:

„...გადმოგვცექროდა ცა მნათესავით,
სიმაღლეს ცისას წუხდა ქვეშეთი,
შენ სიხარულის ცრემლებს თესავდი,
მე სიყვარულით განუგე-
ეშებდი.


ფეხებზე გეცვა მთვარის ქოშები,
თვალებში გედგა ბრწყინვა ოქროთა,
იაგუნდებით და ზარხოშებით
მზე სიჩუმეში მოჯადოქრობდა“...



აქ ხომ აშკარად წრფელი განცდაა, აქაა საოცარი აღფრთოვანება, რომელსაც ახლავს უზვიადესი სურვილი ერთარსებად ქცევისა, რა მართებულად ბრძანებს სულხან სირდანია: „ქალის კაცისადმი სიყვარული ვერც ერთ კატეგორიაში ვერ ეტევა, ვერ ეტევა რელიგიაში, ვერ ეტევა საზოგადოებრიობაში, ვერ ეტევა პოლიტიკაში, ფილოსოფიაში, ვერ ეტევა ოჯახში, ამ ქვეყნიურში“.

ეს ლექსი ვაჟა ეგრისელის ერთ-ერთი ულამაზესი ლექსია, აქ საოცარი რომანტიკული ბურუსია, პოეტს ნეტარებით ევსება სული და ისეთი განცდა ეუფლება, თითქოს: „ოქროდ ჭედავდა დამე ხვაშიადს, ბაჯადლო ოქროდ, ვით ოპიზარი. ეს იყო სიზმრად... მაგრამ ცხადშიაც მეორდებოდა ტყბილი სიზმარი“... აკი ღვთიური მადლი სიყვარულისა სულით მშვენიერთ ეწყალობებათ. პოდა, „ღმერთი სიყვარულისაი არს“.

აქვე მიზანშეწონილად მიმაჩნია მოვიტანო მეცნიერის, პროფესორის მერი ბადრიაშვილის სიტყვები: „პოეტური გრძნობიერების ყოველი კომპონენტი, პოეტის მახვილი ჩანაფიქრის ფერადი გამონაშეფია. მრავალსიტყვაობისა და სიტყვიერ სიუხვეს ვაჟა ეგრისელი კარგად ცვლის სხარტი, მკაცრი შინაგანი ლოგიკით შეკრული ტევადი სტრიქონებით. ცნობილია, რომ როცა პოეტურ გრძნობას პოეტური აზროვნება ჭარბობს, ან პირიქით ირღვევა ესთეტიკური





პრინციპი, იკარგება ლექსის დვთაებრივი სრულყოფილება. ამ მხრივ ვაჟა ეგრისელის პოეზია, ჭეშმარიტად დვთაებრივი პროპორციაა, გასაოცარი წონას-წორობა და პარმონიული მთლიანობაა ამ ორი მხატვრული ფენომენისა. ამიტომაც ის თანაბარი ძალით ესადაგება აზრობრივ თუ გრძნობით ემოციებს, წამითაც არ კარგავს იმ სულისშემძვრელ პოეტურ მდინარებას, ასე მადლიანად რომ მობრწყინავს შემოქმედის დახვეწილ, რაფინირებულ სტრიქონებში“.

ვაჟა ეგრისელისეული სიყვარული მიმზიდველი და ამაღლებულია, ლოდინი, გრძელი ლოდინი სიყვარულისა თუ სიხარულისა, სიმშვიდისა თუ ნეტარების — დამ-დამით ფიქრის ნათელით მოდის, რაც ლექსის ეგზოტიკური სურნელებითა და განთიადის მოლოდინით ავსებს:

„შენთვის წუხილი მე დამებედა,
იორწევა ჩვენი

სიშორის ბონდი
და შავ დამეებს თეთრად ვათევ,
ვითარც ვათევდი,
თუმცა დამ-დამით შენი ფიქრის
ნათელი მოდის
რომ ბნელი დამე,
ადრე ვათენდეს“.



და მაინც ამ პოეტურ, ზედმიწევნით დახვეწილ
კოსმიურ სამყაროში ცხოვრებისეული ვნებიანი ხმები
შემოიჭრნენ და დამე პოეტისათვის საგუთარი, ბობო-
ქარი ცხოვრების სიმბოლოდ იქცა.

„მოდის...

მოდელავს ცის და მიწის შუა
ლამე უმთვარო
და უნაპირო,
ქუხილი ჩემი ძახილია, —
მინდა გაიგო,
რომ ისევ დავპრევ
ცის ტოტებზე ლალს და საფირონს
და კვლავ მოგარომევ ვარსკვლავების ძვირფას
თაიგულს“.

....

„მე დავიკარგე შენს უდაბნოში,
თეთრი დღეებით
და გვირგვინებით,
და მწვავდა შენი სიახლოვის
ცეცხლი —
მზისებრი,
მაგრამ მღელვარე
სულს მიგრილებდნენ
შენი თვალების ოზისები“.



ვაჟა ეგრისელმა შექმნა დამისა და სიყვარულის პოეზია, ჯადოსნური ელფერითა და ფანტასტიკით, იგი გამუდმებით, მშობლიური ცის, ღრუბლების, თუ-თარჩელას, ვარსკვლავების მჭვრეტელი პოეტია, რომლის მეტაფორული სახეები საოცარი ძალით იქმნება და მის მიერ დახატულ დამის ფერწერულ სურათში სანუკვარი სატრფოს ნათელი დევნის სიბნელეს, რომელსაც მეტი სინათლე და სხივი შეაქვს თვით არსებული სინამდვილის განცდაში. „პატარა ნიჭის პოეტს იშვიათად ახასიათებს სიტყვის განსაკუთრებული ძიება. საამისო პათოსი მას არა აქვს, ის ყოველთვის ქმაყოფილი დარჩება თუ მან შეძლო ლექსში თავისი აზრის ზედმიწევნით სისწორით გამოხატვა. სიტყვის ძიების დროს პოეტი შეიძლება სრულიად მოულოდნელად გამომიტყდეს, ისე როგორც ავანტიურისტი, — სიტყვების ძებნის პროცესში პოეტის აზრმა შეიძლება სრულიად ახალი განათება მიიღოს“. სწორედ ამგვარად ანათებენ ვაჟა ეგრისელის ლექსები-დან საყვარელი ქალის თვალები, მაგრამ პოეტის ტრფობა როდია წრეგადასული, ავადმყოფური. საგულისხმოა, რომ როგორი ძლიერიც არ უნდა იყოს ვნება, ღელვა, ყოველთვის სძლებს მას და წინა პლანზე მოვალეობის სახალხო – ეროვნულ ინტერესებს აყენებს.

ვაჟა ეგრისელი სიყვარულის პოეტური გამოხატვისას ობიექტური სინამდვილიდან აღებულ მკაფიო



საგნობრივ ფორმებსა და საღებავებს ხმარობს. მის შემეცნებაში, ქალი ყოველთვის შენივთებულია სამ-შობლოს, ხელოვნების, ბუნების სიყვარულთან. პოეტის რწმენით სიყვარულია პოეზიის სათავე „უწყალო კითა ჯიქია“ მხოლოდ სიყვარული შეგვაცნობინებს სიცოცხლისა და ბედნიერების სიტკბოებს:

„მკერდგახსნილ ცას, ვით ამორძალს,
დრუბლის თეთრი
ძუძუ უჩანს
მიტომ იკრაგს ვარსკვლავების ოქროს დილებს.
მე სიცოცხლეს მივდიდინებ —
სიყვარულის ფართო ქუჩას“.

ლექსში „მიყვარდეს ყველა“ ვაჟა ეგრისელი მხატვრულ-სახეობრივი აზროვნებით გვაჯადოებს, პოეტის სიყვარულს სამანი არა აქვს. სულიერი ფასეულობების ჭეშმარიტი შემქმნელი სიცოცხლის გაგრძელებას თავის სწორუპოვარ პოეზიაში ხედავს. ამოუწურავია, გამოულეველი გაგებისა და თანაგრძნობის საუნჯე, ნაბოძები უფლისგან მარადიული სიყვარულით:

„მიყვარდეს ყველა! —
დამბადებელმა,
გამომიტანა, ვით განაჩენი,
და მტერზე მუდამ მან გამიმარჯვა.



მადლობელი ვარ ჩემი გამჩენის,
სიყვარული რომ შემაჩენა
ხელში ყავარჯნად“.

საოცარი ფერწერული სურათია მკვეთრი ხაზე-
ბით გამოძერწილი. შედარების ძალმოსილებას რომ
ეფუძნება. ვაჟა ეგრისელის პოეტური სტილისტიკის
კონტექსტი სადა, ნათელი ფერებით, ამქვეყნიური რე-
ალობით არის ნიშანდებული, მაგრამ იგი საოცრად
ტევადია და ემოციურობით დამუხტული.

ვაჟა ეგრისელი გარესამყაროში თავის განწყო-
ბის შესატყვის მოვლენებს ეძებს და ჯადოსნური კა-
ლამი საოცარი ძალით ამეტყველებს და საცნაურს
ჰყოფს ადამიანისათვის ჯერ კიდევ მიუწვდომელ საგ-
ნებს, პოეტმა შესანიშნავი გასაღები გამოძებნა შეუ-
ვარებულ ადამიანთა ურთიერთობისათვის და სიყვა-
რული ცის თაღამდე აზიდა:

„ჩემი დღეები დარდმა დაცრიცა,
დავდივარ...“

დავალ...

ვლოცელობ შენს მზეს.

და ღმერთს მოვუხმობ პილიგრიმივით.

ცას მიმწყვდიადებს ფიქრები შენზე,
თუმც გზას მინათებს —

სხივთამფუნი შენი ღიმილი“.



სამშობლოს, სატრფოს, მეუღლის, შვილსა და
მშობელში, დასა და ძმაში, ამხანაგში, წინაპარსა და
მომავალ თაობაში. სამყაროს კველა კუთხე-კუნტუ-
ლში ხედავს პოეტი უკვდავებას. მისი გულიდან, რო-
გორც ზღაპრული ბუდიდან ჩიტებივით გამოფრინდე-
ბიან მართალი ლექსები და ქმედანას კიდევ ერთხელ
შეახსენებენ სიცოცხლისა და სიყვარულის მარადიუ-
ლობას...

„ვაუა ეგრისელის პოეზიაში შემავალი სტილური
ინგრედიენტები, როგორიც ბარათაშვილისა, აქამდე
უცნობი სამყაროს შესაქმნელადაა გამოყენებული
პოეტის მიერ. ამის შესახებ ბევრი თქმულა და დაწე-
რილა, რაც მგოსნის ინტელექტუალურ მასშტაბებზე
მიგვანიშნებს და ნებას გვაძლევს ვოქვათ, რომ ვაუა
ეგრისელის პოეზია XXI საუკუნის რიერაჟზე ამომა-
ვალი ნათელია, რომელსაც ჩაქრობა არ უწერია“. (აკაპი გაწერელია, პროფესორი).

ციალა მასხია

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი, აფხაზეთის მეცნიერებათა
აკადემიის აკადემიკოსი.

ნაწყვეტი წიგნიდან – სახწაული და ფანტაზია
(ფიქტური ვაუა ეგრისელის პოეზიაზე)



**ვაჟა ეგრისელის ლექსები მცირე ზომის ჩანახა-
ტებს წარმოადგენს, მეტაფორებითა და დრამატიზ-
მით რომაა დამუხტული. მინიატურული სალექსო
ფორმა პოეტისათვის სააზროვნო სივრცედ იქცა, რა-
მაც ხელი შეუწყო თვითმყოფადი სტილის დამკვიდ-
რებაში.**

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობა,
გაზეთი „ლიტერატურული საქართველო”.

18 ოქტომბერი, 1991 წელი.

გრიგოლ აბაშიძე – აკადემიკოსი: „ვაჟა ეგრისე-
ლი გამოკვეთილი ხმისა და მაძიებელი სულის პოე-
ტია.” („სილბო ნაქსოვისა”, 1991 წელი).

ელგუჯა ამაშუკელი – საქართველო სახალხო
მხატვარი, პროფესორი: „...ვაჟა ეგრისელის „კოლხუ-
რი ფსალმუნები” თუ მშობლიური ეგრისისადმი მიძ-
ღვნილი ლექსები, თამამად შეიძლება ითქვას, დირ-
სეულ დამფასებელს ელოდება და პოეტური ხილვე-
ბი, სახეები, მეტაფორები ბევრს შემოუბრუნებს მზე-
რას თავისი ქვეყნის მშვენიერებისაკენ, მის სულიე-
რებისაკენ, მიწიერო ტკივილებით აღსავსე სახესრუ-
ლი სილამაზისაკენ...”



აკაკი გაწერელია – პროფესორი, ლიტერატურათ-მოდნე: „ვაჟა ეგრისელის პოეზია ქართული სულის მარადიული ყივილია. მისი შემოქმედება ნაკლებად ან სრულებით ვერ პოულობს ანალოგს ეროვნულ და მსოფლიო პოეზიაში... ვაჟა ეგრისელის მეტაფორული აზროვნება მიუწდომელი და განუსაზღვრელია... ვაჟა ეგრისელის სტილი ღრმადაა დაკავშირებული ქართული სალიტერატურო ენის უძველეს პლასტებთან, კერძოდ, ბიბლიის (ძველი და ახალი აღთქმის) წიგნებთან. ამაში პოეტის სხვადასხვა დროს გამოცემული წიგნების სახელწოდებებიც დაგვარწნუნებს: „სიცოცხლე,” „ამაღლება,” „ნათელნილვა,” „საგალობელი,” „იქმენ ნათელი!” და სხვა. „ფსალმუნი” და „ბიბლია” მარტო საკულტო ძეგლები როდია, ისინი ამავე დროს უდიდესი მხატვრული ძეგლებიცაა.

...ვაჟა ეგრისელის პოეზიაში შემავალი სტილური ინგრედიენტები, როგორც ბარათაშვილისა, აქამდე უცნობი სამყაროს მოდელის შესაქმნელადაა გამოყენებული პოეტის მიერ. ამის შესახებ ბევრი თქმულა და დაწერილა, რაც მგოსნის უსამანო ინტელექტუალურ მასშტაბებზე მიგვანიშნებს და ნებას მაძლევს ვთქვა, რომ ვაჟა ეგრისელის პოეზია 21-ე საუკუნის რისტაუზე ამომავალი ნათელია, რომელსაც ჩაქრობა არ უწერია.



არაგირა აკაპიტო – პოეტი (იაპონია): „...ყველა
პოეტი დვოის შვილია, მაგრამ ისაკავა ტაკუბოკუ,
ფედერიკო გარსია დორკა, ვაჟა ეგრისელი,—ჩემი სუ-
ლის ნაწილია...”

რევაზ მიშველაძე – მწერალი, პროფესორი: „ვაჟა
ეგრისელმა წლების განმავლობაში მიგვაწვია თავის
ლექსს. ეს გახლავთ აღმოსავლური მონიატურული
ნახატივით მცირე ზომის, მეტაფორებითა და დრამა-
ტიზმით დამუხტული პოეტური ჩანახატი. პოეტმა ამ
ფორმის ერთგულებით მოახერხა თანამედროვე მკით-
ხველის განწყობილებასთან მისადაგებული და თავ-
ბრუდამხვევი სიჩქარით დაღლილი მოქალაქსათვის
ადვილად აღსაქმელი მცირე მოცულობის ლექსით
მშვენივრად მოეტანა ჩვენამდე თავისი პოეტური სათ-
ქმელი. ნატიფი ხელწერითა და ნათელი სახეებით
ჩამოქნილ-ჩამოგვირისტებული სხარტი სტრიქონები
თითქოსდა ლიტერატურული ქამანდი გახლავთ, უეც-
რად რომ შეგაჩერებს, თავისი სიმოკლითა და ლაპი-
დარულობით ყურადღებას რომ მიგვაქცევინებს, მერე
უაღრესად თანადროული და ეროვნული პოეტური
აზროვნებით გაიძულებს, ჩამოჯე და პოეტის ფიქრი
გაიზიარო, მის სტრიქონებთან დამე გაათიო...”

ლევან სანიგიძე – მწერალი, პროფესორი: „საქარ-
თველოს ხომ რამდენი ხანია პოეტთა ქვეყანას უწო-
დებენ. ყოველ შემთხვევაში, საქართველო საგსეა



„სემი პოეტებით“ – „ნახევარ პოეტებით“ მაინც დიდმა პოეტმა პორაციუსმა რომ თქვა ორიათასი წლის წინათ. ხოლო, „პოეტი სრული“ – საქართველოში მოიძებნება ოდენ თითზე ჩამოსათვლელი, მათ შორისაა ვაჟა ეგრისელი. იგი ჭეშმარიტად დიდი პოეტია...“

გიორგი სიჭინავა – მწერალი, ქურნალ „აიას“ მთავარი რედაქტორი: „...ვაჟა ეგრისელის დიდებულმა პოეზიამ ამამაღლა და დამარტინა იმაში, რომ ეგრისელი, როგორც კოლხი, დირსეული შთამომავალია აიეტის, გუბაზის, ფარტაზის და დიდი ცოტნე დადიანისა...“

ნუგზარ ნადარაია – ფაზისის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი: „.... ვაჟა ეგრისელი – სიცოცხლეშივე ქართული ერის და მისი ძირძველი მხარის – სამეგრელოს უკვდავებად ქცეული ლეგენდაა, ილია ჭავჭავაძისეული უმტკიცესი ბურჯი და აკაგი წერეთლისეული ჩონგურის გაუწყვეტელი სიმია... „კოლხური ფსალმუნებით“ დედა საქართველოს მეხოტბე, დიდი პოეტი და საზოგადო მოღვაწეა...“

ნიკოლოზ სიანოვი – მწერალი, შორეული ნაოსნობის კაპიტანი: „დედამიწის თითქმის ყველა კონტინეტის ნაგსადგურში, სადაც კი შევსულვართ, ყველგან ჩვენი საყვარელი პოეტების: სერგეი ესენინის,



ფედერიკო გარსია ლორკას, ისიკავა ტაკუ-ბოკუს და ვაჟა ეგრისელის წიგნები დაგვიტოვებია საჩუქრად...”

რეზო ადამია – მხატვარი, მწერალი: „...კოლხური ცივილიზაციის უცნაური მოვლენა – ვაჟა ეგრისელის პოეზიის მარადმწვანე ველზე ბიბლიურ ხედ აღმოცენდა და მისმა არნახულმა ნაყოფმა უზომოდ გაამდიდრა დღევანდელი ქართული ცივილიზაციის საგანძურო. ვაჟა ეგრისელს რამდენიმე ათასი წლის წინათ კოლხეთში რომ ეცხოვრა, უთუოდ ისევ დიდი პოეტი, ფილოსოფოსი, მათემატიკოსი და ვარსკვლავთ მრიცხველი იქნებოდა...“

სოკრატ არშბა – პროფესორი: „...ეგრისელის უაღრესად ეროვნული შემოქმედება, მსოფლიოს ნებისმიერი დიდი ქვეყნის მხატვრულ ლიტერატურას დაამშვენებდა...”

ევგენი აქუბარდია – მწერალი: „...როგორ იქნება, ვაჟა ეგრისელის ათასგვერდიანი „იქმენ ნათელი” გადაშალო და შთამბეჭდავმა მეტაფორებმა, ხატოვანმა თქმებმა, მშობელი ცისა და მიწის თვალმარგალიტებმა არ გაიზიარონ ჭეშმარიტ პოეზიას: „ ჯერ არ ნახულს, ჯერ არ გაგონილს.” და არ აღიარო: „გიქმენ ნათელი!”, „პოეზია უპირველეს ყოვლისა!” აბა, პრემიებით არც დიდი გალაკტიონი გაუნებივრებიათ, - თუნდაც თუ გაწითლებულა ვინმე, ეგ რა მოგვსლიაო...”



გურამ პუპატაძე – აკადემიკოსი: „... ეგრისელის ზოგიერთი „ფსალმუნი“ კოსმიურია და ბევრი სინათლის წელი დასჭირდება მის დედამიწამდე ჩამოდწევას“...

ნუგზარ სართანია – ინჟინერი: „...ქართული პოეზიის რაინდის – ვაჟა ეგრისელის პოეტური ენერგია ენგურჰესის კაშხალია, პრეისტორიული კოლხეთიდან თანამედროვე, ისტორიულ სამეგრელოში (საქართველოში) გადმოხეთქილი და მირიად სხივად გაბრწყინებული, რომელსაც ძალუმს წყვდიადით მოცულ სამყაროს ნათელი მოპფინოს...”

ჯემალ აჯიაშვილი – პოეტი, მთარგმნელი: „არ მშორდება და მუდამ თან დამდევს ვაჟა ეგრისელის: „და...ჩემი ლექსის ყველა სტრიქონი, მოშურნეთათვის ჩემი მამულის, არის საყვირი იერქონის!“ - ჭეშმარიტად!“

შოთა ბადრიძე – პროფესორი: „ფიქრმიუწდომელია ვაჟა ეგრისელის მეტაფიზიკური პოეზია...“

ოთარ ბერაძე – პროფესორი: „ვაჟა ეგრისელმა, ამ მაღალზნეობრივმა და ღვთიური ცეცხლით გულანთებულმა პოეტმა, ახალ სიმაღლეზე აიყვანა უძველესი და უმშვენიერესი ქართული პოეზია...“



მერაბ ბერიძე – დრამატურგი: „...თავაწეულმა უნდა იაროს ვაჟა ეგრისელმა, რადგან სულ ერთი ნაბიჯია დიდების მწვერვალამდე...”

მურმან ბერია – პროფესორი: „მეოცე საუკუნეში, გალაკტიონისა და ტერენტი გრანელის მერე, ყოფნა-არყოფნის, მარადისობისა და წარუვალობის, სულის მარადიულობის მტკიცნეულ პრობლემებს ვაჟა ეგრისელის დარად არცერთი ქართველი პოეტი არ შესჭიდებია...”

ხუტა ბერულავა – პოეტი: „ვაჟა ეგრისელი დიდი პოეტია”...

აკაკი ბეშიძე – აკადემიკოსი: „ვაჟა ეგრისელის ლექსები – მინატურული ვულკანებია, საიდანაც მეტაფორებისა და ეპითეტების ლავა იფრქვევა...”

ზაურ ბოლქვაძე – პოეტი: „სანამ საქართველო იქნება, ვაჟა ეგრისელის პოეზიაც იცოცხლებს...”

ნანა ბოხუა – პოეტი: „ვაჟა ეგრისელის პოეზია – ფენიქსია მითიური კოლხეთის ფერფლიდანაა აღმდგარი და დღევანდელობაში მოფრენილი.“

ემირ ბურჯანაძე – მხატვარი: „როგორც სვეტიცხოველმა ქართული ცა, ისე აამაღლა ვაჟა ეგრისელმა უმშვენიერესი ქართული პოეზია...”



გიორგი გაჩეჩილაძე – კრიტიკოსი, პროფესორი:
„ახალი თაობის პოეტებმა ოცდამეერთე საუკუნეში
ვაჟა ეგრისელისებურად უნდა დაიწყონ წერა...”

ნოე გელაშვილი – პედაგოგიურ მეცნიერებათა
აკადემიის ვიცე პრეზიდენტი: „ეგრისელის პოეზიას
მზერა მიწისაკენ კი არა, უფრო ცისკენ გაურბის და
განსაცვიფრებელ სიახლეებს გვთავაზობს...”

აკაკი გელოვანი – მწერალი, მთარგმნელი: „ბუნე-
ბისა და და ადამიანის ცოცხალი კავშირი, ვაჟა-ფშავე-
ლას პოეზიაში რომ უმაღლეს ასახვას პოულობს, ვა-
ჟა ეგრისელის ათას გვერდიან ერთტომეულში „იქმენ
ნათელი“ სულ სხვა, თვისებური შინაარსს იძენს,
მაგრამ აქაც იგრძნობა კლასიკური პოეზიის ერთგუ-
ლება... და ორი დიდი პოეტის სულიერი ნათესაობა...”

აკაკი გეწაძე – მწერალი: „ვაჟა ეგრისელი დიდი
პოეტური ენერგიის კალმოსანია. ვაჟა ეგრისელი
არის ვაჟა ეგრისელი, თვითმყოფადი პოეტი, რომელ-
საც თავისი სამყარო გააჩნია...”



პოლიტიკი მნა

სიბრძნეს და სინათლეს

თქსავდნენ –

ეგვიპტეს და ანატოლიას,

ნაგრამნი და ნაშიერნი

აქციუსის¹.

ჩემს ენას არასდროს ჰყოლია

არც მეზობელი,

არც ნათქსავი.

1971

¹ აქციუს პედიოდის ძეგლი. მათის საპატივცემლოდ
ეგვიპტეში პედიოდუნი ააგო.

გარიზონაზი

ნისლი რძე არის,
ელვის კვეთით შედედებული,
ცა ამოსაყვან,
ვითარცა ყველს,
დილას ამრგვალებს.
და დაკანკალებს გარეთ ზამთარი.
ღამის შავ ქვაზე ალესილი
მთვარის ნამგალით,
მკის გარიერაჟი ვარსკვლავების
ოქროს თავთავებს.

2000



უფლისაგან წყეულია,

ვინც რომ ბაძავს

ყვავ-ყორნებს.

შენ კი,

კვართად რწმენა გმოსავს...

ორი ათასწლეულიდ

ელოდები ქრისტეს მოსვლას,

მაგრამ იგი აყოვნებს!

2003



პრომეთეს კავკასიონი –
მზის სიხმილს მალე
აღანთებს,
ქედები ჩანან ნადივით.
ო, როგორ შვენით
მაღალ მთებს,
მყინვარის თეთრი მანდილი.

1973



ზამთარი ჭინაძეალზი

სამეუფო ფერების
გარდებ ბრწყინავს
წინანდალი.
კახურ ქუდად მზე ახურავს
ცას და...
სითბოს ატანს ძალით:
მიბრძანდება ზღვით
ზამთარი,
ვითარც ოდიშს პატარძალი.

1973



სიპრეზი

ხელო ნიჩაბი უჭირავს და,
ზურგზე ადევს შავი ლოდი,
წარსულ დღეთა გვითვლის ვალებს
და...

სიკვდილი ხან ახლო და
ადრე მოდის,
ხან შორიდან სიყვარულით
გვითვალთვალებს.

1986



ამირანის და ყამარის

ზღვაა —

შენი აკვარელი,
ცაა — შენი ნაყალმარი.

"გოლიციარ ფსალმუნს"
ვერ ამთავრებ.

ხატებია —

მზე და მთვარე,
ამირანის და ყამარის.

1963



კარგად იცის სიცოცხლემ,
რომ ჰყვავილობს ვარდებად,
თუ სიკვდილმა უყელა,
აქცევს ეკალ-ბარდებად,
მიტომაა გაურბის,
ნებით რომ არ ბარდება,
მისთვის გათხრილ საფლავში –
ცას მოწყვეტილ მნათივით,
გულგამსკდარი ვარდება!

2001



ტუთანხამონის აპლიკამა

ოქრო-ვერცხლი ურიცხვი...
სახელი და დიდება,
განა რამე აკლდა მას?!
ნახეთ "მეფეთა ველზე" –
ჭაბუკ ტუტანხამონის
ოქროს –
დიდი აკლდამა.

1983



ბებერ ძვლებს ვითბობთ
და ვეფიცხებით,
ცხოვრება თითქოს და ბუხარია.
სიცოცხლეს –
სიცოცხლე და,
სიკვდილს – სიკვდილი უხარია.

2007



ხან ალგიონს და ხან შიონს

დუნიაში მიმობნეულს
აშ კოლხურ სულს
უნდა სდიო...

ლოცვა აღვევლინო ოდოს¹,
ხან ეგვიპტის უდაბნოში,
ხან ალბიონს²
და ხან ქიოსს³,

ანატოლიას⁴ და როდოს⁵.

1966

¹ ოდო – უძველეს კოლხთა დეთაება.

² ალბიონი (აელტ.) – ინგლისის ძეველი სახელწოდება.

³ ქიოსი – კუნძული სმელთაშუა ზღვაში (ძვ.წ. VIII ს.)

⁴ ანატოლია – თანამედროვე თურქეთის აზიური ნაწილი.

⁵ როდოსი – კუნძული სმელთაშუა ზღვაში (ძვ.წ. VIII ს.)



ვინც დაეძებს, ის პოულობს,

ნემსის ყუნწში უნდა

გაძვრე -

სმა მოისმის წარსულიდან

და... ჰა, ჩემო,

მეც გიპოვნე:

პოეზიის ციხე-ტაძრის

ამგები და მეციხოვნე.

1963



პონტოს პირს დამჯდარი,
ვით უცხო ფრინველი,
პირველყოფილი მზით
მოსილი,
საოცარი და საბვირველი:
კოლხეთი —
პირამიდაა პირველი,
უფლის ხელით ნაგები...
და არა ჯოსერის*.

1967

* ჯოსერი — ეგვიპტის ფარაონი (2650-2609)
(პირველი პირამიდის ამგები)



პოეტის ჩანგი

მესმის ძალუმი მისი გალობა

და მიტომ ასე

მეიმედება.

სიმად გაუბამს მტკვარი,

პოლგა,

მისური,

განგი,

დილის მზესავით –

სივრცეს ედება

და აწ...

გარადის იხმიანებს

პოეტის ჩანგი.

1981



* * *

რადგანაც იგი ეწამა ჩვენთვის,
ადამის მოდგმა
მიტომ ვარ ვალში,
ის კაცი გახლდათ,
ახლაა ღმერთი.
მიწაზე იყო, ამაღლდა ცაში,
რა შეიცვალა,
მითხარით ერთი!

1960



* * *

ცათამბჯენის ოუ ოკეანის,
არავინ იცის,
ვისი უინი აქვს,
დილა რომ თენდება ბინდიანი.
ტკბილი ძილით სძინავს
ვირჯინიას,
აიდაჭოსა და ინდიანას.

1983



ხმა ფარსულიდან

ასჯერ კი არა,
ათასჯერ,
უმეტეს ურჯულოებთან,
როდესაც გავიმარჯვებდით
დილის მზეს ემსგავსებოდნენ
ერუშეთი და
კლარჯეთი.

1967



* * *

თვალებს განზრახ იბრმავებენ,
სმენას,
ვითომ იყრუებენ
და შენი „მოკალმენი“,
ისევ ისე გიყურებენ,
როგორც აბეჭს –
კაენი.

2008



* * *

მესიის დიდ მოლოდინში,
ბეთლემს,
ღამის არეს თევა,
მაგრამ ჯერაც არჩანს ქრისტე.
მე კი ადამის და
ეგას
ჩურჩულს ბიბლიიდან ვისმენ.

1971



ეგძნილი და პელისაონტი

წარსულ დღეთა ქარიშხალი,
ყინვის დამზრალ
ხელებს კორგნის.
მოვა ჟამი, ვით გლისერი.
ვითარც ადრე ეგქსინი¹ და
პელესპონტი²,
ჩემს დიდ შავ ზღვას
დაერქმევა „ეგრისელი“.

1967

1,2 – შავი ზღვის უძველესი სახელწოდებები.



ბავშვობის მზე

ვით აფროდიტე ქაფიდან,
პონტოს ზვირთებში ნაშობი,
დრომ,
სად მიმალა ვერაგმა,
შენი ლამაზი ბავშვობის
მზე, —
ოქროს ყვითელ პერანგა!

1988



* * *

სოფლის ღობიდან გადმომდგარა და
სილურჯეს ყვირის იასამანი.
აქ, სადღაც მყუდრო არის სავანე
დედამიწაზე მოხეტიალე –
შენა ხარ სივრცე უშორესი
და უსამანო.

2005



* * *

დრო რომ არსად ადარ მიდის,
არც ქარში, არც წვიმაში,
ცას თვალი მიტომ აქვს სველი.
სიცოცხლის არა,
სიკვდილის წინაშე,
რომ უმწეოა სამყარო მთელი.

2003



* * *

სოფლად ურმის ჭრიალთან,
მწუხარს შემოყვა სიმღერა:
„ჰარი, ჰარი, ჰარალე“.
ნიავ-ქარი უგარცხნის
წვიმას ოქროს დალალებს.

1998



* * *

საიდანდაც რომ გვეალერსება,
ალბათ არყოფნის ცივი
ქარია,
რომელიც ხშირად გვიცლის
გუნებას.
ო, რა ტკბილია,
და რა მწარეა –
ეს ორი სიტყვა: დაბადება
და აღსრულება.

1999



* * *

ოთარაანთ ქვრივს რომ სარჩო
წაართვეს,
აი, სწორედ მათი ხმებია.
სხვები კი არა,
ის გზირებია,
ხსოვნის ყორეს რომ ეფარებიან
და დაგიწყების ფანჯრებიდან
იმზირებიან.

1980



ბროჭეული

ცაში ამაღლდა, როგორც უფალი,
ვინც სიყვარული
უფლის იწამა,
მიტომ მეც ცაში დავეხეტები.
ბროჭეული კი ჩემთვის მიკრო
დედამიწად,
შედედებული მოკვდავების სისხლის
წვეთებით.



* * *

მოყვავილე ცის მინდორზე,
წელში მოხრილს
გხედავ მთვარეს,
თითქოს ბაღში კრეფს იებსო.
დამე უქსოვს კვართს
იქსოს,
ელვის ოქროს ყაისნადით.

1978



* * *

შიშველი მუცლები მოუჩანთ დორჯოებს
და ჩურპატანებს,
წყალი არყოფნით...
იხრჩობიან უწყლოდ მურწები.
გულგახეთქილი მიწა,
ასჯერ ნაინფარქტალი
წუხეს...
სულთმობრძავი სქვია* ტყე-ტყე
მიიძურწება.

1964

* სქვია — ღელვა ხორგაში (ხობის რ-ნი)




უშავ-ჩევსურეთში

ჭართალს,
უალეთს,
ფხოვს და კვარას.
დევთა და აქსულთა ტვინი კლდეს
მიასხა-რა.
ბაცალიგომ,¹
აინანამ,²
კოპალემ³ და იახსარმა.⁴

1966

1,2,3,4 – ფშავ-ხევსურეთში გაბატონებული
წარმართული დემორტები.



* * *

(ვარიანტი)

ზღვის ბინადარნი,
მოსული არსაიდან,
ქარიშხლის სუნთქვას რომ
აიყოლიებენ
და გზას მიჰყვებიან წარსულში
გაფრენილს.
და რომ დაფარფატობენ ზღვას
თოლიები –
ხსოვნაა ზღვაში დაღუპული
წინაპრების.


1972



ბენესარეთის ტბასთან

ცის და ლამის მეუფე –
მოვარე მიემგზავრება –
ვარსკვლავების კარეტით.
ვერცხლის სხივთა მთოვარი.
და მე აღქმულ მიწაზე
გდგავარ,
ვით მაცხოვარი,
ტბასთან გენესარეთის.

1983



* * *

ბრწყინავს მთიები –
ცის ექრანიდან,
დგას სვეტი მოხერილ
მთვარის
ანტენის.
სხვა მზე ანათებს
და ქრის სხვა ქარი.
არყოფნის ქვიშის დგას კორიანტელი
და ეს ცხოვრება უდაბნოა
ცხელი საჰარის.

1988



* * *

ქვეყნად ყოფნას,
არყოფნა,
ჯანდაბაში ისტუმრებს
და სამყარო სავსეა შიშითა და ურვებით
დღით და ღამით დახუნძლულ,
გაუსაპნავ ცის ურემს,
მზე და მთვარე შეუბამს
ელგის აპეურებით.

1979



* * *

პოი,

როგორ უხდებათ თქორჩოხიან
მთებს ბანი.

კოლხეთს ბუდობს ოდიდან

მზე და

საოცრებანი.

და ხმა ისმის წინწილის,

ჩანგისა და ებანის.

1980



* * *

ეხეტებიან დემონები შავი
ღრუბლების
ცაში, და ნათელს
ბნელით ფარავენ
მაინც ყვავილობს მთვარის თეთრი
იასამანი
და... უფლის გარდა იცის არავინ,
ყოფნა-არყოფნის
სად ძევს სამანი.

1986



* * *

(გარიანტი)

ქვესკნელიდან –
ზესკნელამდე,
გზა უსასრულო და
ულევია.
ცა – სასაფლაოა,
და მოციმციმე ვარსკვლავები –
ჩვენი წინაპრების სულებია.

1975



* * *

შენი მხურვალე ლოცვა,
უფალთან კვლავ ადის ცად,
ამიტომ წუთისოფლად
მოგიწევს
მარადისად,
სიკვდილის მერე ყოფნა.

2003



საშპუნეა ოცდაცამეტი

სინამდვილეა და არაფერს აღარ
ვამეტებ,
საუკუნეა ოცდაცამეტი,
რომ კოლხთა წარსულს ჩაფრენია
დამე კლანჭებით...
საუკუნეა ოცდაცამეტი,
რომ მედეას გლოვობს შავი ზღვა,
შავებს იცვამს
და იტანჯება.

1963



* * *

ხელში ალუჩის თეთრი ტოტებით
თეთრჩონიანი მოდის
აპრილი.

მთვარე ჩაცქერის პირდაღებულ
დამის უფსკრულებს.
ზღვა ხახას აჩენს
გველეშაპივით
ცა გარსკვლავებმა ჩაალუსკუმეს.

1971



* * *

ღამეულ გზებით შორს რომ მიღიან –
ისიდაა ან იადოვაა...
კუზი კი არა ცოდვა კიდია
და ის ბოროტი კაცის სულია –
ლოკონად რომ ხეზე
მიღოდავს

.

1994



* * *

ელვა, ვით ბონაპარტე,
თავს კვლავ აფარებს სადღაც,
მღვრიე ღრუბლების კუნძულს
ცა – კი
ამორძალს მოჰგავს,
მთვარის მოჭრილი ძებუთ.

1958



* * *

ქარებს სიშორე და ღელვა
მოაქვთ,
როგორც დანაპირი,
ღრუბლებს ელვის სდევს რეფრენი
გულში იკრავს სანაპირო
ტალღებს –
ზღვიდან ამოფრენილს.

1978



မန်ချေး

တိတုကျေး မာတွေ့ရှင်းလာ အဲ,
ဝမ်းချေးပြုရှင်းလာ,
အဲ၊
မိမိရှေ့လာ ရောမ ၅၀၈ ထား လာ လျှော့လျှော့လာ
လာ လာမံခွါးလာ သိချိန်စား ရောမ
ဖြော်လော်လာ,
၁။ အရာ မျှော်လော်!
ချေးပြုရှင်းလာ အောင် အမြောက်ဆုံး
လော်လော် ဇူးရှေ့လျှော့လျှော့လာ.

1989



* * *

ცის ვარცლზე დაყრილ ვარსკვლავთა
დერდილი,
მთვარის დიდ საცერმი იცრება.
ადამის ძეს კი მიწაზე
დღეები სულს ისევ ართმევენ...
და როგორც ბნელი და ნათელი,
სიცოცხლე სიკვდილით იცვლება.

1998



* * *

demands,

გოდება,

ბლაგილი და...

ესი ქვეყანა.

სასაკლაოდ და ქცეულა ბოსლად.

რაა სიცოცხლე! –

მარტოოდენ წასვლა და

მოსვლა.

2004



* * *

სასაფლაოსკენ თმაგაშლილი
გამორბის ქარი
და ეპვეთება კივილით მუხლი.
სამარეს ჭრიან და მიწა კვნესის.
დგას თავდახრილი კუბოსთან
მწუხრი
და ჩუმად უსმენს ვარსკვლავთა
მესას.*

1972

* მესა (ფრანგ.) — ქათოლიკური ღვთისმსახურება, წირვა.



တော်ရော ဒုက္ခလိုဏ် – ဂရာအားဖြင့် တာဝန်

ပြန်လည် –

မိမိမှတ် သာမဓာတ်၊
မိမိမှ လာမိုး များ၊
စာမဓာတ် သိမ်းကျင် ဂိုး၊ အရှေ့...
လာ... ဂုဏ်ဆုဏ် တော်ရော ဒုက္ခလိုဏ်၊
ဒုက္ခလိုဏ် အရှေ့၊
တာဝန် အရှေ့ ဂရာအားဖြင့်.

1976



იალუს მინდვრები

გმირების და მგოსნების
ლურჯი საფლავებია –
ეს მთები და ბორცვები.
და სამშობლოვ! საშველად,
როდესაც მოგინდებით,
წამსვე გაგვაცოცხლებენ
ჩვენ „იალუს მინდვრები“.*

1968

* „პირამიდების ტექსტის მიხედვით „იალუს
მინდვრებზე“ ცოცხლებოდნენ მკვდარი ფარაონები.



* * *

ცისა და მიწის აიხდენს სურვილს,
 დიდი ხნის მერე,
 მოსვლიდან ქრისტეს,
 შურით და მტრობით შეგუბებულ
 საუკუნეებს,
 კვლავ გადმოლახავს კოლხური
 სული,
 აღიმართება ლურჯ კოლოსად
 სამყაროს ცისქვეშ.

1976



* * *

მტკვარს აკვანში მშვიდად ძინავს,
ქოხა აღა-მაპმად ხანის
ხმა არსიდან არ ისმის,
მაინც ყაყაჩოთა სისხლში
ცურავს გელი
კრწანისის.

1969



როგორც პოეტ-მითოლოგს

ათასწლეულების იქით,
შენმა ოქროს „ფსალმუნებმა“
იწვიმოს და
ითვეოს.
და მზე დაგერას ლეგენდებმა,
როგორც პოეტ-მითოლოგს.

1963



აქციური და აიღფი

დიდმა მამამ –

ჰელიოსმა,

ორივე ძე, უკვდავებისათვის

ისე გაიმეტა,

რომ უარი ვერ გაბედა.

ვერც უფროსმა აქციუსმა.

ვერც უმრწემსა აიეტმა.

1994



შენი ლიმილი

შენს დიმილში დვთაებრივი
ცეცხლი დვივის
და სიცოცხლის ბადეს გიქსოვს,
და არა პგავს „ფრესკის დიმილს“¹
„სფინქსის დიმილს“,²
და არც „დიმილს დიონისოს“.³

1971

1 „ფრესკის დიმილი“ – (ლ. გუდიაშვილი)

2 „სფინქსის დიმილი“ – (ლ. ალექსიძე)

3 „დიონისოს დიმილი“ – (ქ. გამსახურდია)



* * *

ელვა მიწას თვალს ჩაუკრავს
და შორიდან მოვარე მოჰვავს
ზესკნელს გაკრულ აფიშას.
ცას – მნათი არ დააკლდება,
გულს დარდი და
ზღვას ქვიშა.

1989



მზე პოლიტიკი აღმოჩნდება

მიღიარდი წლის წინათ,
მზე კოლხეთში აღმოხდა –
მოსვლად კაცობრიობის.
იგი იყო სამყაროს რწმენაცა და
იმედიც.
დედა გახლდათ კიბელე¹ –
კოლხეთის და ქიმეთის.²

1977

1 რეა კიბელე – კაცობრიობის პირველი დედა.

2 ქიმეთი – გვერდის უძველესი სახელწოდება.



* * *

დარდით გადახურული –
ხალხთან დადგი კარავი.
„კოლხური ფსალმუნები“ –
ათასწლეულს ჩაუკლის –
როგორც მზის და სიცოცხლის
დიდი დღესასწაული.

2001



* * *

ქარიშხელით მთვრალი და გალეშილი

ზღვა,

დედამიწას მიუუდებია.

მთები – მოჭრილი თავებია

ბაყბაყ დევების,

მდინარეები – ზღვის კუდებია.

1962



პუნები

ცა და მიწა ერთიან –
გადათელეს პუნებმა,
მაგრამ მაინც მინდვრები
მკერდზე ვარდებს იბნევენ.
და სიცოცხლეს სიკვდილით
ვერ უცვალეს ბუნება.
ვერ უქციეს სამყაროს
მზის სინათლე –
სიბნელედ.

1991



ქულევთან

მომელანდება რამზეს მეორე*

და სპა ურიცხვი ზღვისებრ

თავხედი.

აქ, გარდასულთა ქრიან ქარები.

როცა მღელვარე პონტოს გავხედავ,

ფიქრი კოლხეთის წარსულისკენ

გამეპარება.

1963

* რამზეს მეორე – ეგვიპტის ფარაონი (ძვ.წ.აღ.XIV b.)



* * *

(გარიანტი)

სამშობლო მზეა ამომავალი

და მის გულისთქმას

კვლავ უსმინე,

როგორც უსმენდი.

კაცის ცხოვრება გაუვალი ტყეა —

უსურის.

შენ, გარსკვლავების ოქროს

ლურსმნებით

საქართველოს ცას

ხარ მიღურსმნული.

1966



အာဘာ

ဟိမ်း ဂာဗိုလ်ချုပ် လှမာစံ မာမျှလို့,
 ဒါတ မြိုင်သွားလိမ္မာ,
 မာနိုယာလိုပါး
 တွာလိုက ဂာရမာနောက် ဦး၊
 ဇာ ဂာနိုင်မိုက် ဂူးလိုမာပါ –
 ဗုံးလိုက လိုမြောက်-ဂာဗိုလ် အာဘာဗီ.*

1969

1 အာဘာဗီ (မျှောက်) မြိုင်နာ ဂုဏ်ဖွံ့ဖြိုး



* * *

მზე, როცა მიმწუხარისას მიეფარება,
წითლად შეღებავს ზეცის
კამარას,
ჩამოხუნძლული მნათთა
მტევნები,
და როს ჩაუგლი დია სამარეს,
შიში ძაღლივით აგედევნება
და შენს სიცოცხლეს გაატრამალებს.

2004



* * *

არ დაუდგია თავი ბალიშზე
 დამეს და როგორც ჭლექიანი
 სულ ახველებდა,
 (არავინ ჩანდა მთვარის
 მნახველი)
 სისხამ დიღიოთ კი ცატ
 ფერმისდიღმა,
 მზე, ვითარც სისხლი ამოახველა.

1957



* * *

პონტოს ზვირთთა გრაგნილებზე –
მოციმციმე ვარსკვლავებით
დაწერილი,
კოლხეთია ჩემი მზე და ევანგელი,*
რომელიც სხვა დანარჩენთა
სასწორს ხრიდა.
თუმც ცნობადის მწვანე ხიდან,
ისე უხმობს ეგას გველი.

1970

* ევანგელი (ბერძ.) – სახარება.



* * *

შეგჯიბრები ამირანს და...
სხვა ქოლე ტიტანებს,
თუ ვარსკვლავები
ძირს ჩამოვრეკე
და დედამიწა მაღლა –
ცაში თუ აიტანე.


2006



* * *

ქამი, როგორც ცხვრის ფარას,
სინათლის და მზის იქიო,
ისევ ისე მიგვდენის,
რადგან წელი ათასი,
ისეა მის თვალებში,
როგორც დღე –
გუმინდელი.

2001



မဖိနပ်ရောဂါန နှင့် ရောဂါန

ရေမ ဖွံ့ဖြိုးနေ လျော်း အဲခြေ ဖော
 လျော်း စွဲ၊
 ဒေါ် မတော်ဝါ – ဘိမ္မ ဖိနာပုဂ္ဂိုလာ.
 ဖွေ့ဖြိုး ပြေားမြေား မော်ဖွေ့ဖြိုး
 ဖွေ့ဖြိုး၏။

မပိုကာရော ဖော ရောဂါန –
 ဘိမ္မ ရာမပိုကာရော ဖော၊
 မာကို စွဲလွှာ ရေမ ပုံမှန်လွှာ –
 မမာ ဂားလွှာ ဖွေ့ဖြိုး၏။

1979



ოპო, ოპო!

ჯამს ცისკრისას ცა ქართული –
დაიხურავს მთვარის ბოხოხს,
ჩამოხედავს მიწას რიხით.
და ქვეყანა მშვენიერი –
ლიხს აქეთ და
იქეთ ლიხის,
შენზე იტყვის: ოპო!
ოპო!

2008



* * *

მიწა ლუსკუმია და,
ბნელი არის მისი ცა,
აღარ უცემს მზის გული.
სხვისოვნის ავის მოსურნე,
შობს შურსა და
სიძულვილს,
ბოროტებით ორსული.


1985



100 000

ასი ათასი წელია უპვე,
ჩემს კოლხეთში –
სმა რომ მოისმის
დაფის და ბუკის,
ჩანგის და ქნარის.
(ხანდისხან შხამიანი ისრები
იწივლებენ.)
ასი ათასი წელია უპვე,
თავს რომ იკლავენ ებანები
და წინწილები.

1986



* * *

ცის ბინადარო მწყემსო კეთილო,
 ადამის ძეთა სირეგვენისთვის
 შენ ხარ ჯვარცმული
 და ნუ შეგაკრთობს ჩემეული
 თვალთა სისველე.
 ლოცვით დაღლილი და დაქანცული
 უფალო,
 მე შენს
 ჩრდილქეშ ვისვენებ.

1993



ვიღისტიმს და რახაბის

შპვდავებას დახარბდა
და ხმა აღარ ჩაესმის
ევფრატის და ნილოსის:
ფილისტიმს¹ და რახაბის,²
ბაბილონს³ და
ტვირთისის.⁴

1968

1,2,3,4 – პრეზეტოროული ქალაქები.

* * *

გარსკვალავებიანი ცა –
გახურავს, ვით ტიარა,
და „კოლხური ფსალმუნი“
მიტომაა ასტომობს.
და გეძახის ზესკნელი,
მარტო პოეტს კი არა,
ასტროლოგს და ასტრონომს.

1990



* * *

ზეცას მუცელი უცებ ასტკივდა
და წყალიც უცებ გადმოიღვარა
ღრუბლის საშოდან.
გამოენისას დამემ მთვარე
იმშობიარა.
ელფის ჭიაძლარიც გასკდა და
სივრცეს გაშორდა
და თავს დაადგა პირმშოს ტიარა.

1985



* * *

მზე კვლავ მზეობს,
არ ჩასულა,
სხივებს ფანტაგს ბარჩხალიას,
შორით მთების ჩანს მწვერვალი
ზღვას ფრინველნი
დაწხავიან,
თითქოს იყოს ნაწვერვალი.

1986



* * *

ჩემი ცხოვრების საჯინიბოში

ბევრი დილა და

საღამო ება.

არყოფნას, ყოფნით დიდხანს ვეომე,

მაგრამ ვერაგზით,

ვერ დაგთრგუნე

ამაოება,

ვერ გადავლახე ვერც სტიქსე¹ და

ვერცა ჯეონი.²

2007

1,2 – ჯოჯოხეთის მდინარეები.



მთები და პილიგრიმი

მთები —

ციდან მოსულები,
ისევ უკან ბრუნდებიან,
რადგან მიწა მოირთველეს.

ახლა მაღლა ადიან და
რომ მისთრევენ,
ბილიკები —

მათი გრძელი კუდებია.

1978



გურიაში

მშვიდობაურთან მუხა შემოგვხდა,
ბებერ სიცოცხლის ჰკლავდა
წყურვილი
და იდგა იგი ასაკს მყვირალი.
გზა მიდიოდა –
კრიმანჭულივით
და ხელს გვიქნევდა ნასაკირალი.

1973



* * *

გადაშლილია კიდით-კიდემდე

ცა – ვარსკვლავების

სათეს-სახნავი.

არ დაჭირვინებს ქარი – კენტავრი,

გატრუნულია და წამწამებს

არ ახამხამებს,

ვის უსმენს ეს ზღვა ახლა,

ნეტავი?!

1979



* * *

ახლახან რომ თეთრი ეცვა,
შავს ჩაიცვამს უცებ ზეცა,
იწვიმებს და ითოვებს,
რაღან სევდა ვეღარ ზიდა.
მერე ქარი,
ვით თოლიებს,
ამოაფრენს ტალღებს ზღვიდან.

1995



* * *

„შუმერი და ქალდეა –
ერთი და იგივე ქეყანაა“.
„ძველი აღთქმა“

ათასწლეულების მერეც,
ეს მთები შუმერთა,
შორიდან იცნობა.
კიდიდან-კიდემდე გაშლილი –
ფართე ველებიაა.
და ვარსკვლავებზე რომ მისნობენ,
სხვანი კი არა,
ქალდეებია.*

1971

* ქალდები – მეგრულ-ლაზურ-ჭანური

შტოს უძველესი სახელწოდება.

P.S. ქალდე – წარმართული პანთონის მოვარის ლენტება.

* * *

თოვლის ქათქათა სარეცელზე –

წამოწოლილან მთები –

ორსული

და თავს ევლებიან ენგური და

ჩხოუშია.

მთვარე მდინარეში ჩამოსულა,

ღამეს ვარსკვლავების

ჭალარა მოუშვია.

1989



* * *

შავითმოსილი,
ცეცხლის თვალება,
ცად ავსულები დახარხარებენ,
ჩამოაქვს შიში
შორეული სხივების ციალს –
სანაპიროზე გიჟი ქარები,
მღვრიე ტალღებს და
ცხელ ქვიშას ცრიან.

1979



სემი და ქამი

გაშლილია ცის მინდორი
და სურნელი ჰყვავის
იის,
სიმყუდროვე სუფეს დამის.
მივუყვები გზას ბიბლიის,
არც სემი¹ ჩანს
და არც ქამი.²

1979

1,2 – სემი, ქამი – ბიბლიიური ნოტს შეიძლები.



პილიპები

უგზოუკვლოდ რომ სადღაც გარბიან,
ეს ბილიკები —
წარსულ დღეთა გზის
გზირებია.
მაღალ კლდეებზე მდგარ ციხეთა
სათოფურიდან,
ბრძოლებით დაღლილ მეციხოვნეთა
სულები ისევ იმზირებიან.

1968



ზღვა და ცა

მესმა ღრუბელი უცებ დაფერთხა
და ელგის თოკზე
უცებ გაფინა.
მთვარემ მთიებით მოჩითული
ჩაიცვა კაბა.
ციდან მოსულ ზღვას,
ისევ ცაში უნდა აფრენა,
მაგრამ მიწა ეწევა დაბლა.

1964



* * *

ერთხელ იქნება,
სიყვარულით ისე დავთვრები
რომ ვაწყევლინო სიკვდილს
თავბედი.
და ავურიო ისე დავთვრები,
რომ ჩემი ნახვა,
არასოდეს აღარ
გაბედოს.

1996



* * *

შურითადვსილნი ბევრი ეცადნენ,
მაგრამ სახელი,
შენ მაინც
ვეღარ შებდალეს,
რადგან გიფარავს ფრთები ეარის.
აღარ არსებობს შენოვის
დღე-დამე,
რადგანაც დამე შენოვის დღე არი.

2003



პოლოს ტალღები

ელგის ბილიკებს მიუყვებიან
 და სივრცეების კარებს
 აღებენ,
 ხელში უჭირავს წარსულ დღეთა
 დროშის ტარები.
 მიდი-მოდიან
 მღელვარ ზღვებში პონტოს
 ტალღები
 და მედეაზე მწარე ნაღველს
 დაატარებენ...

1970



* * *

სამარეს თხრიან,
ანგელოზმა რომ დაიძინოს,
აღარ შორდება ლანდი –
მაცილის.
ლოდი გდია ხის ძველთაძველი
სავარცხელივით.
კბილდაკრეჭილი თავისქალა
სიკვდილს დასცინის,
მაგრამ სიკვდილს კი,
არაფრის და არვის
რცხვენია.

2001



* * *

ცას და მიწას –
შეყვარებულ პირველ
ცოლ-ქმარს,
მერე გაყრილთ...
ახლა მიწას, ავხორცისა და
სატირიანს.
ღამდამობით, ცაში ობლად
დარჩენილი,
ვარსკვლავები –
ცხარე ცრემლით დასტირიან.

1979



ეგვიპტის ცხოვი უდაპოვანი

ეგვიპტის მიმწერისას,
მზე როდესაც ჩაესვენება,
უკიდეგანოდ გაშლილ
სივრცეებს,
როცა თქარუნი შეზრავს ცხენების.
ეგვიპტის ცხელი
უდაბნოები,
კოლხ მამელუკებს გაიხსენებენ.

1969



პაპი

მიწის კი არა,
ცის სიმყუდროვე,
დაფარულია ოქრონარევ
ვარსკვლავთა ქვიშით.
მწუხარე სახით მღელვარე ზღვას
გასცემის პაპი,
და დაუნდობი ქარიშხლის შიშით,
ებდაუჭება ციცქნა ტალღა
უგულო ნაპირს.

1973



ლაზებსა და მარგველებს

კოლხი მეზღვაურები –
ქართა ძახილს ელოდნენ,
აფრა გაშლილ ნავებთან.
ჩანდა შიშის დამრგველი –
პონტო უნანავებდა
ლაზებსა და
მარგველებს.

1969



პროანისის ველი

(გარიანტი)

აჰა,

სამასი წელი გავიდა,

რაც აქ –

გმირთ-გმირი არაგველების

თავგანწირული ხმალთკვეთების

ხმები –

გაისმის.

და იმათ დაღვრილ სპეტაკ

სისხლიდან

ამონთებული ყაყაჩოების

ალში რომ იწვის

ველი კრწანისის.

1959



ანაკონდა

ახლა კოლხთა წარსულს აწვიმს,
მაგრამ ადრე საწუხარი
არ ჰქონია,
ან არ ჰქონდა,
რადგან ხეზე ოქროს საწმისს –
დარაჯობდა
ანაკონდა.*

1968

* ანაკონდა – ურჩხული, გველი.



300 025021

მზე თითქოს აქვე –
მიწაში ჩადის,
წყებილი სანთლებს
ნისლად ებურვის.
კიდაც ლოცულობს, გით იაღოვა.
პატარა მატლი –
ალბათ სული მიცვალებულის –
ძველი საფლავის ლოდზე მიღოდავს.



* * *

ღამის იქიდან თუ არყოფნიდან –
დღეები ყორნისფრთხით
მოვრენენ...
ირგვლივ მთებია და უფსკრულები.
რა არის ყოფნა,
წუთისოფელი?!
– ზღვის მიქცევა და მოქცევაა
დაუსრულები.

1986



* * *

ზეცისკენ მიაქვს ლოცვები
უფლის ტაძარში სიონის –
დანთებულ სანთელ-საკმველს.
და მესმის გალაკტიონის
„ – ლაპმე,
სადახარ, ლაპმე!“

1960



* * *

ცალი თვალი კი ცისკენ უჭირავთ
მოქბს კუზიანებს და
ამაზრზენებს,
თუმც არას თხოვენ,
არც ავალებენ.
ვარსკვლავები კი მიწას დამზერენ
განთიადამდე –
შუშის თვალებით.

1962



შესაფირო

სიყრმეცა და სიჭარმაგეც
გავატანე ფრთებს არწივის.
და ქართული ლექსის უფალს,
მცირე,
მაგრამ, ვით შემეძლო,
მეც შევწირე შესაწირი.

2005



* * *

გარსკვლავები კი დამით,
მიცვალებულთა სულებს –
ამაღლებულთ და
დიადო,
უფლისკენ მავალ გზაზე –
უხინათლებენ წყვდიადს.

1978



შირაზმა

ვითარც ადრე,
ცოდვილ დედამიწაზე –
მიჰქრის ჟამთა ბობოქარი
მდინარე
და დღეებიც გადადიან ყირაზე.
წარსულიდან ხმა მოესმის
მინარეთს:
– წინანდლის ვარდს,
ვერ ჯობია შირაზის.

1974



მთვარე და მზოსანი

ზღვის სანაპიროზე დამჯდარა,
მგოსანი,
გაჰყურებს სივრცეებს და
თვალებს არწყულებს
და მისდევს ფარულად წამს-წამი.
მთვარე კი დაცქერის,
ვითარცა ქალწული
და აფახულებს ღრუბლების
წამწამებს.


1986



* * *

ათასწლეულებში მითვლემილი
ჩემი კოლხი წინაპრები
გავაღვიძე და
ავარე
და მომავალში დავასახლე...
და დავიფერფლე!
თუ დარჩა ფერფლი –
ისიც კოლხეთს გადააყარეთ.


2006



ღმერთთა ომი

ღმერთთა შორის არის ომი
და მოუღებს მალე ბოლოს
უფალთ შორის უზენაესს –
დიდ ურანოსს,
შვილი კრონოს.
მაგრამ მალე მოვა ის დღე,
მას დაამხობს რისხვა
ზეპსის,
სანამ გამოჩნდება ქრისტე.

1973



* * *

(გარიანტი)

არაფერია სადარდელი,
მოკვდავნი ტყუილად მისტირის,
დღეებს,
შავ ფერს რომ წყველიან.
სიცოცხლე და სიკვდილი:
წინ ცეცხლი,
აკან მეწყერია.

2002



* * *

ბევრჯერ,
არყოფნის გზით მიმავალი,
სიცოცხლისაკენ ისევ
შევბრუნდი
და ამ ცხოვრების სკალას,
ქარიბდას
და ბნელ სამკუთხედს
შაგი ბერმუდის,
შენმა,
ო, შენმა სიყვარულმა
მე ამარიდა.

2001



* * *

სხვისი კი არა,
ბრძენგაც ნოეს შტამომავალნი,
ბევრნი არიან აქ კაენები,
ცოტზე-ცოტა აბელები.
და გარსპლავების დამურები
ჰქოდია ცაზე:
— დიდი სინათლის ზღვას აბნელებენ.

1970



* * *

მოლოდინში გაზაფხულის წვიმის,

ქარებს რბენით

გადაღლიათ მუხლი.

აღარ წყალობთ მაპმადი და

ბუდა.

ცის ბუდეში –

წუმად ჯდება მწუხერი,

– გარსკვლავები გამოჩეკონ

უნდა.

1978



* * *

ელგა კი არა,
ციდან ვიღაც გველამაზება,
თუმც აღარ უჩანს სახე,
არც პირი.
ხსოვნის იქიდან ქრიან ქარები.
ზღვის და სიცოცხლის
არ ჩანს ნაპირი
და დელგა დამის ტოტს ეფარება.

1986



* * *

შოორ წარსულიდან მოგეხმოდა
ხმა წინაპართა
და გზას მისდევდი გეშით მეძებრის,
თუმც ირეოდა ჟამთა მორევი.
ცის უდაბნოში სამშობლოს და
შენს თავს ეძებდი,
ბოლოს იპოვე ერთად ორივე.

2003



* * *

დამთავრებულა მიმწუხერის ლოცვა
და ამბიონთან არჩანს მნათე
ჩამავალი მზის სხივი
მინანქრობს.

სულს კვლავ უბერავს ანთებულ
სანთელს

ქარი,

საყდარში, მაგრამ ვერ აქობს.

1979



* * *

„აიების“¹ ნაშიერნი,
არვის ენახა სირცხვილ
ნაჭამი,
გრძვინვა გაჰქონდათ ქასქებს,²
აქადებს,³
ახლა არ ისმის მათი ჭაჭანი
საით წავიდნენ,
საით განქარდნენ?!“

1973

1 აია – ქვეყანა, ხალხი.

2,3 – ქასქები, აქადები – კოლხების (ქართველების) შოთარებული წინაპრები.



ზვირთები

ალბათ კოლხეთის წარსულიდან
მოისწრაფიან –
ზვირთები, ერთურთს სდევენ
მუქარით.

და ზღვა ნაპირთან
გადადის ყირას.
არ ჩანს ორფეოსს,
ცა აკვეთებს მთვარის
თეთრ ლირას.



* * *

ეს კანონია წერამწერალის:
უნდა წახვიდე,
რადგან მოხვედი,
როცა ჩამოჰკრაგს სიკვდილს
მიზრაფი.
შენ სამოთხისკენ
აღარ ისწრაფვი,
მაგრამ არ გინდა არც ჯოჯოხეთი.

2002



* * *

გადაკარგულან სადღაც მთიები
და ზეცას შავი ღრუბლები
ფარავს,
არა ჩანს მთვარე მგოსანთ ნაქები.
ღამე –
დილისკენ მიიკვლევს
წევარამს –
ციცინათელების ჭრაქებით.

1960



* * *

ერთპირს წყალიც კი იძინებს,
ხმა არ ისმის მიტომ ლეთებ.*
მთვარე არის აგერ რომ ზის.
რომ მიფრინავს დასავლეთით,
თეთრი ღრუბლის ქულაა თუ
ანგელოზი.

1986

* ლეთე (ბერძ.) – მიწისქვეშა სამყაროს მდინარე.



* * *

პოეტები პოეზიას –
სიბრძნის ტარზე ართავენ,
მიტომ აღარ უკარება
ბინდი.
პოეტის გზა – არის მუდამ
მართალი,
პოეტის გზა მუდამ
რომში მიდის.

2003



* * *

მეხთამტებ ხმაში გიდგას ქუხილი

და ელვის ძაფით

შენ ხარ ნაქსოვი.

ბრმაა ქვეყანა, —

ადრეც გითხარი.

ცოცხალი ქვეყნად არვის ახსოვხარ,

მკვდარს კი უთუოდ

მოგიკითხავენ.

2007



* * *

ოქროს მატყლიან გარსკვლავთა

ფარას,

მილალაგს მთვარე,

ვით სარქალი

და ელვის შოლტის ხმა ისმის.

შენ,

ჩემო!

არც ღვინო,

არც ქალი,

მხოლოდ-და სიკვდილი გიხსნის.

2001



მარსიასი

მოსილი გზა ეკალ-ბარდებით,
ეცადე,
შენ თვითონ გაკვალო.
გჯეროდეს, ასე ჯობია,
ასეა!

ნუდარ გამოიწვევ შეჯიბრში
აპოლონს¹,
თორემ ტყავს გაგაძრობს,
ვითარცა მარსიას.²

1992

1 აპოლონი (ბერძნ.) – ოლიმპიური რელიგიის

ერთ-ერთი უდიდესი წარმომადგენელი.

2 მარსიას (ბერძ.) – მდინარე მარსიასის დათავა.

* * *

სამოცდაათის მისდევ აღმართებს,

მოშვებული გაქვს დარდი

წვერივით.

გაცქერი ბეცად ალთას და

ბალთას.

და წუთებისთვის ხელგაშვერილი,

მათხოვარივით დგახარ

დვთის კართან.

2001



მრიდა

შენ,

შენა ხარ!

და მიტომაც

რკინის მკვნეტავი შენი სიტყვა.

არავის მოერიდა

წელზე შურის მახვილს

ირტყამს,

არ გშორდება ერიდა.*

1969

* ერიდა (ბერძ.) – განხეთქილების ღმერთქალი.



* * *

ქრისტეს ჯვარცმა და ხატება

ახსოვს თვითმხილველ

„ასისთაგს“.

და უფრო ადრე კი

ხეთას და ერგეტას,

რომ იყო კოლხეთში –

ფასისთან:

„ქალდეა“, – „სოფელი მეგრელთა“.


1966



გაზა-ფშაველას პრემია – 2008

ბედნიერი წელი დადგა
შენთვის,
რადგან სხვა წლებს არ ჰგავს.
და გსურს მიზნად დაისახო:
კიდევ ერთხელ რომ ეწვიო,
ვაჟას ჩარგალს,
შატილს, ფხოვს და ბარისახოს.

2008



* * *

მოსულს დამიდან თუ არსაიდან,

არ იცის თუ რა წესია

შიგნით.

და მაინც ჩუმად და ასე ურცხვად.

გადაუშლია ზღვის ლურჯი

წიგნი

გრიგალს და

სველი თითებით ფურცლავს.

1991



* * *

ათასწლეულთა იქიდან ისმის
შეყვარებულთა გულების რეკვა
გისის,
რამინის,
ლეილ-მაჯნუნის.
სულსხვანაირი,
და სულ სხვა რჩული,
კვდება ყოველი
სიყვარული არ კვდება ქვეყნად.

2000



* * *

მითიდან მოსულ შენს კოლხეთს,
პონტოს ზღვის დელვა
აკმარე,
აფრებით გვერდებ შებერილს.
სამყაროს შეაღე ცხრაკარი,
სხვათაგან
შეუდებელი.

1993



ხილვა: პელქ დაღუგა

ოცდათოთხმეტი საუკუნეა,
რაც ზღვა ლეგენდის
თეორ პერანგს იქსოვს
და ძველ კოლხური ისმის მოტივი.
ისრჩობა პელქ¹,
გერ შველის ფრიქსოს
და გული ღელავს
პელქსპონტივით.

1979

1 პელქ (ბერძ.) – ათამანტისა და ხევველეს ქალიშვილი, ფრიქსოს და, (ზღვა რომელშიც პელქ დაიხრო, პელქსპონტი ეწოდა. (შავი ზღვა).



* * *

წარსულში წევს ბახტონი,

არ ჩანს ონისე და

ლელა.

მთვარისა და მზის სასწორით

ცა,

ცოდვა – ბრალს

აღარ წონის.

და გხედავ მთებს უდარდელად –

მხართებოზე წამოწოლილთ.


1972



* * *

ა, ის ერთი ათასში,
თითქოს შენსას
მოპგავს სწორს.
გმლის ზეცის თაღები.
და ხმლის ხელში აღება
ნუქნას!
მტერმა მოგასწროს.

2001



ღამე სპარეთში

ცად გარსკვლავები „დავლურს“
უკლიან,
ღამე ღრეობას ჯერ
აღარ მორჩა,
ჭრიალებს მთვარის ვეება კარი.
თეონულდი –
დევის კოშკივით მოჩანს
და თოვლის შუქი გამოკრთის
გარეთ.

1998



* * *

სიმყუდროვეში ძინავთ სივრცეებს,

მთიები ყვითელ თვალებს

ახელენ.

დამე ელვის ძაფს ღრუბლებზე

ართავს.

მოულოდნელად –

ცა ჩაახველებს

და გაისწორებს მთვარის თეთრ

ბაფთას.

1986



* * *

ის პოეტია და ამბობს ირონიით,
თვითონ აპოლონი მშველის,
მე ვარ ჯორჯ-გორდონ
ბაირონი,
ის კი პოეტი,
პეტეი – ბუში – შელი.

1978



* * *

ზღვისკარად დღისგან მიტოვებულმა,
მწუხერმა,
სიჩუმეს გაუდო კარი,
როცა ვარსკვლავთა ესმა კაკუნი.
და ცას დაუსვა ბეჭედი
მოვარის
ლამებ და
ხელი მოაწერა ელგამ გაკრულად.

1965



* * *

ჯერ ცამეტისა არ იყო,
 პირზე სიკვდილი ეკერა,
 არყოფნის ნისლით შებურვილს.
 და ახალ გაჭრილ საფლავთან,
 რომ დაფარფატებს
 პეპელა,
 სულია მიცვალებულის.

1967



* * *

ალბატროსივით ფრთების შრიალით
ვითარცა გუშინ,
ამ საღამოსაც,
აღარ ელოდა ქარის მოფრენას
ზღვა და
ხმელეთზე უნდა ამოსვლა,
მიტომ ნაპირთა კვლავ
იფოფრება.

1995

ოლგოთი მუნები

* * *

ოუ მიწა,
 ზეცის არის მშობელი,
 მაშინ მთიები –
 ჩვენი და-ძმა და
 მისხლი არის
 ანგელოზების ხმა ისმოდა მთვარის
 არფიდან.

მზე,
 მერე გვიან,
 არწივივით თვალსისხლიანი,
 აღმოსავლეთით ცას შეაფრინდა.

1996



* * *

კოლხია და ამიტომაც,
მზით და ოჯალეშით სავსეს,
თუკი მოპკრა თვალი კოკებს.
გერ უშეელის ორფეები¹ და,
გერც ღმერთქალი
ქალკიოპე².

1971

1 ორფეები (ბერძ.) – მითიური მომღერალი

2 ქალკიოპე (ბერძ.) – ეპიკური პოეზიის მუზა, ორფეების დედა.



* * *

ქუხილმა როცა ცის მინდორი
 გადაირბინა
 მაშინვე დამემ მეხს მიანდო –
 გარღვევა ღრუბლების ნაკერთა
 უეცრად განათდა წყვდიადი,
 ეს ელვა კი არა,
 ცა შეკრთა.



მდინარეები და გზები

ალბათ არსაიდან მოსული,
ზღვისკარად ასე რომ
გაინჩრობს,
დამხვრჩვალთა სული,
ოუ ქარია?!
მდინარეები, თავი რომ დაიხრჩონ
ზღვაში...
მაგრამ ეს გზები,
სად მიიჩქარიან!

1994



შემოდგომა სოფელში

მზე დაცქეროდა კორდიდან,

მინდვრებს შეუროდათ

გვინი.*

ხელში ეჭირათ ორთითა:

ძოკოს, ძუკუს და

დრიმის,


და დგამდნენ – პირამიდებად

ზვინებს ჩალის

და თივის.

1964

* გვინი (აგადმყოფობა) – სიყვითლე, ზაფრა, დაწალუკი.



* * *

პარას ჭალაში გლეხეცები,

მთელი დღე პურის ყანას

მკიდნენ.

ტკიოდათ მაჯა,

მკლავი და მხარი

გამთენისას სოფლის ბოლოს

აბდავლდა ხარი,

— გარდაიცვალა ვიდაცა კიდევ.

1971



* * *

სიცოცხლე თურმე არის წყვდიადი,
სადაც სინათლედ გაკრთება
ხსოვნა
და მერე ღამედ მიიმდოვრება.
აი, ამქვეყნად კაცის
ცხოვრება,
არის ძიება, —
არაფრის პოვნის.

2004



* * *

თვით ზესკნელიც კი არარსებობს
მიწის გარეშე
და ისევ იქ დგას მთვარის კათედრა.
გამთენისას ცა ვარსკვლავებმა
სინათლის ეტლით გადითარეშეს
და გაუშურნენ –
მზის შესახვედრად.


1981



* * *

ნაპირთან პატარა ტალღები
ცეკვაგენ,
ფოთელბი ელიან მიწვევას,
მაგრამ ქარები
ითრევენ წელს,
ზღვა ისე ქანაობს
და ისე ირწვევა,
თითქოს ჰამაკში წევს.

1967



პრაცენტი — 1794

ხომოლავდა სისხლის სუნი,
არა მურის და
კესის,
არც შტახსისა და ამბრის.
და ქარის გარდა არვინ,
იყო წამდები ამბის.

1972

* * *

აყვავებული ტოტი აპრილის
მიაქვს გაზაფხულს
პარას ჭალაში,
სადაც სიმინდის ლურჯი ყანებია.
ხობისწყლის პირას სხედან
აღები,
რომლებიც კოლხეთს ეთაყვანებიან.

1993



ეპროპა, აზია

აიეტის კოლხეთი –
მზის ჩასვლის და
ამოსვლის
ქამს, ო, რა ლამაზია.
შვენის სამოსი
ევროპას¹ და
აზიას².

1964

1 ევროპა (ხემიტ) – „სადამო“, „მზის ჩასვლა“.

2 აზია (ხემიტ) – „გამსოვლა“, „მზის ამოსვლა“.



აჰა, გაცი!

ძოწეულით შემოსილი „აჰა, გაცი!“

და...

დრუბლები რამ არია?!?

— ალბათ ქრისტე ჯვარზე აცვეს!!!

და გადმოდის

სული წმიდა —

იუდეას...

სამარიას.

1983



* * *

ო, საქართველო,
ასწლეულებად
ჩამოშლილი წლები –
ნაწვიმი,
გშვენის ისე, ვით ცისარტყელას
ოქროს ყაწიმი.

1989



* * *

ღამე ღრუბლებს მიაბოლებს...

რაც მზის ცეცხლი

ვერ დაიწვა,

წვრილ-ვარსკლვავნი,

ვით თუთუნის ყრია ნამწვი.

(ვ კი არა,

დედამიწა,

მთვარის ლამაზ აკვანს არწევს.

1974



* * *

ოქროს საწმისს ჰგავს საქართველო,

იაზონმა ჩვენ რომ

მოგვტაცა.

კოლხეთს კი პონტოს უჭირავს თასი,

ასე მგონია:

კიდევ ცოტაც და,

მოადგება მედეა ფასის.

1974



* * *

ადამის მოდგმა დარღმა, და
გზა სიარულმა დალია.
სანამდის ამ სოფლად
დახვალ,
სიცოცხლე,
სიკვდილის ვალია,
უნდა დაუბრუნოთ
რა დღეს და რა ხვალ.

2004



ჩემი პუნქტი

ამქვეყნად ერთმა,
ეს იცის ღმერთმა:
წარსულში მდგარი მოდგმა
და ჯიში.
ცალ-ცალკე არა, ორივე ერთად,
როგორც სიბერე და
როგორც
შიში,
ყორნისფერ თმებს ვით
დებავენ თეორად.

1998



ვიქრი „პირპავზე“¹

არა მარტო პლატონმა²,
 სხვებმაც „კირბზე“ ფიქრებით
 დამეები ათენეს,
 თვალებიც დაიოსეს.
 იგი ახსოვთ: ათენელს³,
 კრატინეს⁴ და
 ქიოსელს⁵.

1985

1 კირბები – ქვის სვეტებზე ამოკვეთილი ნაწერები

2 პლატონი – (IVb. ძვწ.)

3 ათენელი აპოლოდორე – (IIb. ძვწ.)

4 კრატინე – (Vb. ჩვწ.)

5 ქიოსელი თეობიმე (IIIb. ჩვწ.)



* * *

არც წვიმაა,
არც ქარია,
და ღრუბლები რამ არია?!
დახუნძლული გარსკვლავების
ყვავილებით.
ო, ეს მოვარე –
ნეტავ ვისი სამარეა?!

1986



* * *

გინაც არ იცის ცხოვრების –
ნადდი ფასი და
ყადრი,
გითარც დარის და ავდრის.
და ის მოიმკის ნაყოფს
მაინც,
გვიან თუ ადრე.

1997



* * *

მიეფარა ზამთრის ბაღებს
მზე და მაინც
სიშიშვლე კი,
ვერ იქნა და ვერ დაფარა.
ზე – ამოდის ზღვა და
ტალღას,
იხდის, როგორც სარაფანას.

1972



* * *

შორეული წარსულიდან,
ვითარც წინათ,
ახლაც მესმის,
ტკბილ-კოლხური საუბარი.
და პეფესტოს¹ რას უბარებს –
ამირანზე
მწყრალი ზევსი².

1963

1 პეფესტო – ცეცხლისა და სამზედლოს ღმერთი.

(პერსა და ზევსის ვაჟი)

2 ზევსი – უზენაესი ღვთაება.



სოფელში

სივრცეა შორი...

და სიშორიდან –

დასტრიალებს

წიწილებს ქორი,

რომლებიც ფეტვის მარცვლებიუთ

მიმოფანტულან.

1960



* * *

დღის ნათელი ხმობს ჰელიოსს,
დამქ,
ოდით მზის მტერია.
ბნელში მოვარე დგას ეჭვივით
და... კოლხეთის
მისტერია* –
ცხრა ბეჭდით არ დაბეჭდილი.

1974

* მისტერია (ბერძნ.) საიდუმლოებანი.



* * *

სიცოცხლე მუდამ მოდის ტირილით
და მერე გვიან
ყაინალივით
სუსტ თითებს მკერდზე ჩუმად
დაგვიწყობს,
გადაიქვევა უცებ ტყიურად,
და დამთავრდება,
რითაც დაიწყო,
ჩვენი ცხოვრების უვერტიურა.



პეზმსტო და თარხონი

ცამ როდესაც იშვილათ,
მათ ხელთ ეპყრათ შიშივით,
მეხი ზევსის ნაქონი.
და ზარს სცემდნენ სამყაროს –
ჰეპესტოც¹ და
თარხანიც.²

1989

1 ჰეფესტო (ბერძნ.) – ცეცხლის ღვთაება

2 თარხონი (ბერძნ.) – ჰექს-ქუხილის ღვთაება.



* * *

მოხუცი მთვარე წელში მოხრილი,
ცის ბილიქს მისდევს,
როგორც მთასვლელი.
დგანან ღრუბლები, კითა ჯინები.*
მზე –
აღმოსავლეთს ყელს ებჯინება,
კით დამის სული ამოსასვლელი.

1976

* ჯინი – ბედელი, სასიმინდე, ნალია.



ლომის სახლი

ცას კრამიტი — გარსკვლავების,
ერთობ უნდა ავყარო
და მზეს რაში ვუჭენო,
ვინაიდან ზე-სამყარო,
ლომის სახლია უჭერო.

1968



* * *

გაშფოთებს ცის სიგრძე –
სიგანე
და სიპატარავეს გმინავ.
დედაომიწავ,
შენ ხარ პელიგანი,*
როცა სიცოცხლე გვტოვებს,
შენ გულს იფიტრავ
და გიჩენ ბინას.

1998

* პელიგანი – წიტი, რომელიც საკვების უქონლობის ქამს, თავის გულ-დვიძლით გვებავს ბარტყებს.



* * *

მზემ რომ პირი დაიბანა
და მერე რომ ცისარტყელის
პირსახოცზე შეიმშრალა,
ვიცი,
მიტომ დაიწუნე.
აი, ახლა დამდება და,
ცა გიმზადებს ფერად-ფერად,
გარსკვლაგების ყვავილწნულებს.

1968



* * *

შენმა მზემ და სიცოცხლემ –
საქართველოს ხვალისთვის,
თუ ტყუილად იომა,
სიკვდილს ნუდარ დაუცდი,
თავი უნდა მოიკლა,
როგორც გალაპტიონმა.

2005



* * *

აიღტის კოლხეთია –
ჩემი მზე და საესავი,
ყოფნა ამის გამო მიჯობს.
რავქნა ჩემო!
ჩემი თავი,
სიპვდილს უნდა გამოვბლივო.

2007



* * *

ხალხს ქარიშხლად მოევლინენ,
თავი ღმერთად დაიგულეს,
აი, ახლაც წყევლა მოსავთ:
ნერონსა¹ და კალიგულას²
და ბალთაზარ კოსას.³

1979

1,2,3 — რომის იმპერატორები.



0სეზ ადამი და ევა

წინაპრთა სამოსახლოს –

ედგა მთვარის დიადემა
და კოლხეთში,
ზღვასთან ახლოს,
კოლხებს: ადამსა და ევას,
ღმერთმა დაატოვებინა
ის სამოთხე და ედემი.

2001



ძუღი მოშხადეთ პოეტს

ვითარცა ვარსკვლავი ისნის,
ის ერთადერთია... ტოლები
ეძებეთ,
თუ სადმე ჰპოვეთ!
და როცა შეგხვდებათ,
ბატონებო!
ქუდი მოუხადეთ პოეტს.

1992



* * *

ღრუბლები მთებს ამოეფარნენ,
წვიმდა და ცამ გადაიკარა
და ქვიშით ვარსკვლავებს
ცა – ფარავს.

მე და ჩემი ბიჭები* ზღვისკარად
ვსხედვართ და მივირთმევთ
„საფერავს“.

1992

* ბიჭები – იგულისხმებიან პოეტი ვაჟიშვილები
ზურაბი და დანი.



* * *

ლეგენდებით და მითებით
სამყაროს გზებზე გასული,
ჩემია,
და მე მექუთვნის:
კოლხეთი – დიდი წარსულით,
მიწით,
ზღვითა და „ეფუთით“.*

1962

* ეფუთი – უძველეს კოლხთა სადგომ წიგნი.



* * *

ქს დღეები ძველსას არ ჰგავს,

ვგრძნობ ფერსა და

გემოს.

ძლივს გიპოვნე,

ვერ დაგკარგავ,

სიყვარულო ჩემი!

1971



* * *

თვლემა მორეულ გოჯის ციხიდან,
დიდ წინაპართა ცაში ასულ
სულებს გავძახი
და ზე – სამყაროს თვალებში
ვივლებ.
მერე ფაზისის პირას ვასახლებ –
შოორ წარსულიდან აყრილ
მითებს და ნათელხილვებს.

1978



შენი მზა ამოგა

ცას მომწყდარ მეტეორივით
უეცრად,
მზე ზღვაში ჩავარდა.
მაისის საღამოა.
მე ვიცი, ბევრის მზე ჩავა – და,
შენი კი ამოგა.

1981



* * *

ხმა წარსულიდან აღარ იღევა:

აქეთ – ქასქები,¹

იქით – დრილები²

და უფრო შორით ტირენ,³ კელტები.⁴

ყოვლის საწყისი არის კოლხეთი

და რადგან დღემდე

კოლხად მოხვედი,

უფლის სახლამდე აისგეტები.

1968

1,2,3 – კოლხთა (ქართველთა) შორეული წინაპრები


4 კელტები – ინდოევროპული ტომები (პირები
ათასწლეული წენების ერამდე)



* * *

ქარიშხლიანი ჟამთასვლა –
დედამიწას ვერ დაუმტკრევს
კავკასიონის ხერხემალს,
თოვლ-ყინვით, ვერც აბრუნდებით.
მაგრამ ჩვენ წავალთ
ერთხელაც
და უკან ვერ დავბრუნდებით.

2005



მეცხრა (ვარიანტი)

შაშვიგით შენი გალობა,
შეშურდებოდათ მერცხლებს.
და რომ ეწვეოდი სიმღერით
ცას,
მერვეს არა,
მეცხრეს
მიტომ გიბოძა ბუნება
ბევრი ოქრო და ვერცხლი.

1994



* * *

ვისაც კოლხეთის ზარავთ ხსენება,
 ჩამოიგლიან ჩემს წინ
 ხელებაწეულები,
 რადგან ჩემია მინაწერი კლდეზე
 ლურსმულით.
 რადგან უშქარი ასწლეულებით –
 კოლხეთის წარსულს
 ვარ მიღერსმული.

1971



* * *

დედამიწის ელთა ლოცვა-ვედრებას,
ცა – ვარსკვლავებად
კვლავ იმეორებს...
დღესა და დამეს –
ზღვის ბინადარ ამ ძველ
ტიტანებს
სძულთ ერთმანეთი...
გაურბიან ერთიმეორეს,
რადგან ერთმანეთს ვედარ
იტანენ.

1969



* * *

მძვინვარე ზღვა კი დელვას
არ იშლის

და მზით ნაქსოვი ერთი კუნძული,
თავთან პვლე უდევს,
ვით ყურბალიში.
ცა ვარსკვლავებით ჩამოხუნძლული
ფეხის ხმას უსმენს ზღვიდან
ქარიშხლის.

1978



შეცარი შეხვედრა

არავინ მყავდა ამბის მთხოვობელი,
ადარ მეგონა თუქი
გნახავდი
და იყო მწარე და მათრობელა,
როგორც არაყი ორჯერ ნახადი –
დარდი,
რომელიც ჩუმად დამქონდა
და მტკიგან გულში
რომ ვინახავდი.

2001



ცაა – პოლიტიკური წარსული

ჩემი ლამაზი ქვეყანა –
არ ენახვებათ ავსულებს,
არც მათ თვალბედით
ახლობლებს.

ცაა – კოლხეთის წარსული,
სად ჰელიოსის ნაგრამი –
ვარსკვლავები რომ სახლობენ.

1961



* * *

ცაშია თურმე გადაწყვეტილი:
ჩვენთვის იწვიმებს,
ჩვენში ითოვებს,
მაგრამ ამაზე ნუ ჩაფიქრდები,
დრო სასტიკია:
დაგვათოთოებს,
მაგრამ იქ მაინც
სამუდამოდ ერთად ვიქნებით.

2003



* * *

ელფის მოვერცხლილი გასაღებით
 მეხმა გაადო ზესკნელის კარი,
 რომელიც ალბათ ქაჯებს
 ებარათ.

ობოლ ბიჭივით გამოჩნდა მთვარე,
 თითქოს და დევებს ის
 ზღაპრიდან გამოეპარა.

1962



ზღვა და ქარი

სიცივის და შიშის მგვრელი,
ვით მეკობრე დათარეშობს
არავინ ჩანს ახლო-მახლო.
ცად აღმართავს
ზვირთთა კოშკებს,
ზღვაა ქართა სამოსახლო.

1989



* * *

ცელს იქნევდა თუ

ეჭირა წალდი,

ფეხზე ეკიდა გზები და დაღლა.

ათას დარჯაკში მას ბედი ცდიდა,

მერე აუყვა მთას...

გაიმაღლა...

ახლა ვარსკვლავად დაგვურებს

ციდან.

2001



* * *

აღარ არის საშველი,
პირჯვარიც რომ იწერო,
ბედისწერა კარს იცდის.

დღე —

ყოველი კაცისთვის,
არის საბედისწერო.

2002



* * *

წარსულიდან მოვარდნილმა
ცივმა ქარებმა,
ჩამოხსნეს დამის კარ-ფანჯრები
და დარაბები
და ამოთხარეს მთვარე ფესვიან
მერე ღრუბლები ცას შეესია,
ვითარც თბილისს ურდო არაბების.

1978



გარსკვლავიანი ლამე

მოქათქათე ეს ღრუბლები –
ცას უჩანს დვთის
თმა-წვერივით.
და ეს დამე, ვითა წიგნი
ანგელოზთა,
გარსკვლავების ასოებით –
უფლისაა დაწერილი.

1968



* * *

შენ იჩხრიკები სამზე მეტი
ათასწლეულის
იქიოთ,
ფაზისის პირას ანანთებ,
ჯერაც ჩაუმქრალ ცეცხლის
ღადარში.
„კოლხურ ფსალმუნებს“ როცა
გადაშლი,
წამსვე მედეას გრძნეულება
შემოგანათებს.

1962




* * *

მოვარდისფრო ვარსკვლავები

ცად ეყარა,
ვით ნახერხი.
ნაპირთან კი ერთმა ტალღამ
წაიმუხლა
და ხმელეთზე,
ამოსვლა ვერ მოახერხა.

2007



* * *

აქა-იქ შავი ბოლავს ღრუბელი
და ზეცა მოჰვავს ნატყორცნს
ყუმბარას
მთიები ბნელში გადაიღანდნენ.
ღამე დაიდებს მოვარის
ყურბალიშს
და დაიძინებს მშვიდად დილამდე.

1978



ა. კ.

* * *

დედის ნაჩუქარ ცხვირსახოცში
გამოხვეული,
ყველგან,
ყოველთვის თან დამქონდა
სინდის-ნამუსი,
ვითარც ტეტიას,
ვითარ გაგრიას,
ვიყავი ათის თუ თცდაათის
დღეს ვარ სამოცის,
მაგრამ ის არსად და არასდროს
დამიკარგია.

2001



* * *

ვერ ისვენებენ
მშფოთვარე ზდვები,
თუმც მდინარეებს „იჩხირავენ“,
მკერდზე ქარიშხლის ადევთ ურდული
და ცა დაცქერით დაკაწრული
ელვის ფრჩხილებით,
პირმოკუმული და გასუდრული.

1969



ვასძნეჯი

მიგაფრენს და...

ცაც ლურჯია,

გეხმის კილვა და

ხორხოცი.

პოეზია – ფასკუნჯია,

სულს ასმევ და...

საკუთარი კვებავ ხორციო –

1998



* * *

გაუას დაჭრილმა არწივმა
ყორნებთან,
ეპმა ვერ უშეველა მჭვირვალმა.
შენც ასე,
ვით გალაპტიონი,
დვინოში ახრჩობდი ჭირ-ვარამს.

2005



როგორც იუდა

ვიცით,

რომ უკან ვერ დავბრუნდებით,

ვით მზე,

დასავლით მივალთ ჯიუტად,

ამაყები და ცათა სწორები.

ბოლოს სიკვდილი, როგორც იუდა

მოვა და...

ჩუმად გვეამბორება.

2001



* * *

კაცის ყოფნა არის თურმე,
პატაწინა ნისლის ფთილა,
ვითარცა შენ,
ვფიქრობ მეცა:
მთვარე – ღამეს
და მზე – დილას,
ხორცი – მიწას,
სული ზეცას.

2001



ლაშარობა – 1979

დღებაა ფშავ-ხევსურეთს
და ვინ იცის დიდმა ვაჟამ,
იქნებ გვერდით მოგისვას
მიხვალ მთაში...
შეწევნას თხოვ –
ლაშარსა და
ლომისას.

1979



* * *

ასე ჩვევიათ მეფებს:
პირს გაუხსნიან იარას
ჩუმად,
ადრე თუ გვიან.
და კეთილ ქვეშემრდომებს,
ორგულობისთვის კი არა,
ერთგულებისთვის სჯიან.

2003



დღეები

წარსულით ხმა მოდის,
დედა რომ გიმდერის –
„ნანინას“ და „სისა ტურას“.
ეს ესმის ხორგას და ნატანევს.
დღეები, ვით სურამის ციხეში
ზურაბს,
შენც პოეზიის კედლებში გატანენ.


2007



* * *

მზე ჩავიდა და
დედამიწაზე,
უცებ გაიდგა მწუხარმა
ფესვიგით
გაულისფანცქალით მოსული ნისლი.
და მერე გამოენის ცამ,
სინათლის ქლიბით
პირალესილი,
ამოაქარქაშა ვარსკვლავი ისნის.

1978



* * *

დასავლეთისკენ მიმავალი,
ცხოვრება მოჭრიალე
ურემია,
მზე და მთვარე კი ბორბლებია.
შენი პოეზია ციდან მონარნარებს,
რადგან ღვთის ხელი
ურევია.

2004



სპილოთა სასაფლაო

მთა —

შუბლშეკვრით იმზირება,

ცა ტირის და აღარ ცაობს.

ზეირთები კი კისრისტებით

ავლავ მისდევენ ქარს და ქაოსს.

მიმოყრილი ქაფის ძვლებით

ზღვა ჰგავს სპილოთ

სასაფლაოს.

1976



* * *

წარსულში მძინარ ათასწლეულებს,
შორიდან ისევ ელაციცები,
ახლოს მისვილას კი
ვეღარ უბედავ.
ყოფნა,
არყოფნით ისევ იცვლება,
შენ კი კოლხეთის სიყვარული
დაგვეა ქუდბედად.

1998



* * *

მიწით —

ცამდე ეს სამყარო,
უკვდავების წყაროდ შესვი,
თუმც ჟამი ისევ მპაცრობს
გსურს, ისე ვით, ქორს წიწილი,
დავიწყებას ერთი ლექსი,
სცადო,
იქნებ გამოსტაცო.

2005



მეცხრე

კოლხეთის წარსულის ბუდეში –
ლექსები ვჩეკე და
ვამერცხლე.
არ ვიზამ მოვკვდე და...
შემრცხეს მკვდარს,
რადგანაც რიგით ვარ მეცხრე,
შევაღებ მეცხრე ცის
მეცხრე კარს.

1964



* * *

ვითარც ზღვას ქარიშხალი,
მე სიყვარული შემშლის,
ელვად კანკალებს ნერვი,
ერის სული დუდს ჩემში,
მიტომ მერევა
ვერვინ.

2004



* * *

დღე,

სელენეს¹ და სირინგას²

დავეძებ ლერწმის დეროთი,

დამე კი ვლრეობ

პანებთან.³

და პვლავ ვაღვიძებ სამყაროს,

სფეროებსა და

პლანეტას.

1964

1 სელენე (ბერძნ.) – მთვარე, პიპერიონის
ქალიშვილი, პელიონის და, მთვარის ღმერთქალი.

2 სირინგა – ფერია

3 პანი (ბერძნ.) – ტყვებიდა და ჭალების არტადიელი
ღვთაება.



* * *

„ფრთხები, ფრთხები გვინდა...“

გალაკტიონი.

უსაზღვროა ცა და სიგრცე,

ელვის დიბად ნაფენი,

და შენ,

ჩემო,

მაღლა მზერა,

წამით აღარ გბეზრდება.

და ყოველდღე გრძნობ

საფრენად –

დიდი ფრთხები გეზრდება.

1958



სარჩევი

წინასიტყვაობის მაგიერ.....	5
კოლხური ენა.....	25
გარიერაჟი	26
*** უფლისაგან წყეულია	27
*** პრომეთეს კავკასიონი	28
ზამთარი წინანდალში.....	29
სიკვდილი.....	30
ამირანის და ყამარის.....	31
*** კარგად იცის სიცოცხლეშ	32
ტუტანხამონის აკლდამა.....	33
*** ბებერ ძვლებს ვითბობთ	34
ხან ალბიონს და ხან ქიოს.....	35
*** ვინც დაეძებს, ის პოულობს.....	36
*** პონტის პირს დამჯდარი	37
პოეტის ჩანგი.....	38
* * * რადგანაც იგი ეწამა ჩვენთვის.....	39
* * * ცათამბჯენის ოუ ოკეანის	40
ხმა წარსულიდან.....	41
* * * თვალებს განზრახ იბრმავებენ.....	42
* * * მესიის დიდ მოლოდინში.....	43
ევქსინი და პელესპონტი	44
ბავშვობის მზე.....	45

* * * სოფლის ღობიდან გადმომდგარა	
და.....	46
* * * ათასლწულების წინ ნაშენ	47
* * * სოფლად ურმის ჭრიალთან.....	48
* * * საიდანლაც რომ გვეალერსება	49
* * * ოთარაანთ ქვრივს რომ სარჩო.....	50
ბროწეული	51
* * * მოყვავილე ცის მინდორზე.....	52
* * * შიშველი მუცლები მოუჩანთ	
ღორჯოებს	53
ფშავ-ხევსურეთში.....	54
* * * ზღვის ბინადარნი	55
გენესარეთის ტბასთან	56
* * * ბრწყინავს მთიები	57
* * * ქვეწად ყოფნას	58
* * * პოი	59
* * * ეხუტებიან დემონები შავი	
ღრუბლების.....	60
* * * ქვესკნელიდან	61
* * * შენი მხურვალე ლოცვა.....	62
საუკუნეა ოცდაცამეტი	63
* * * ხელში ალუხის თეთრი ტოტებით ...	64
* * * ღამეულ გზებით შორს რომ მიღიან..	65

* * *	ელვა, ვით ბონაპარტე	66
* * *	ქარებს სიშორე და დელვა	67
	მტრედი	68
* * *	ცის ვარცლზე დაყრილ	
	ვარსკვლავთა	69
* * *	მოთქმა	70
* * *	სასაფლაოსკენ თმაგაშლილი	71
	თეთრი ვარდი – გრაალის თასი	72
	იალუს მინდვრები	73
* * *	ცისა და მიწის აიხდენს სურვილს.	74
* * *	მტკვარს აკვანზი მშვიდად ძინავს...	75
	როგორც პოეტ-მითოლოგს	76
	აქციუსი და აიეტი	77
	შენი ღიმილი	78
* * *	ელვა მიწას თვალს ჩაუკრავს	79
	მზე კოლხეთში აღმოხდება	80
* * *	დარდით გადახურული	81
* * *	ქარიშხლით მოვრალი და	
	გალეშილი	82
	ჰუნები	83
	ეულევთან	84
* * *	სამშობლო მზეა ამომავალი	85
	ჯგუბები	86

* * *	მზე, როცა მიმწუხერისას მიეფარება...	87
* * *	არ დაუდვია თავი ბალიშზე.....	88
* * *	პონტოს ზეირთთა გრაგნილებზე....	89
* * *	შეეჯიბრები ამირანს და...	90
* * *	უამი, როგორც ცხერის ფარას	91
	მტკვარი და რიონი.....	92
	ოჰო, ოჰო!.....	93
* * *	მიწა ლუსკუმია და.....	94
	100 000.....	95
* * *	ცის ბინადართ მწყემსო კეთილო	96
	ფილისტიმს და რახაბის	97
* * *	ვარსკვალავებიანი ცა	98
* * *	ზეცას მუცელი უცებ ასტკივდა.....	99
* * *	მზე კვლავ მზეობს.....	100
* * *	ჩემი ცხოვრების საჯინიბოში.....	101
	მთები და ბილიკები	102
	გურიაში	103
* * *	გადაშლილია კიდიოთ-კიდემდე.....	104
* * *	ახლახან რომ თეთრი ეცვა.....	105
* * *	„შუმერი და ქალდეა – ერთი და იგივე	106
* * *	თოვლის ქათქათა სარგეველზე	107
* * *	სავითმოსილი.....	108

სემი და ქამი	109
ბილიკები.....	110
ზღვა და ცა	111
* * * ერთხელ იქნება.....	112
* * * შურითაღვსილნი ბევრი ეცადნენ.....	113
პონტოს ტალღები.....	114
* * * სამარეს თხრიან	115
* * * ცას და მიწას	116
გავიპტის ცხელი უდაბნოები.....	117
ჰაპი	118
ლაზებსა და მარგველებს	119
კრწანისის ველი.....	120
ანაკონდა	121
ვით იაღოვა	122
* * * დამის იქიდან თუ არყოფნიდან	123
* * * ზეცისკენ მიაქვს ლოცვები	124
* * * ცალი თვალი კი ცისკენ უჭირავთ	125
შესაწირი	126
* * * ვარსკვლავები კი დამით	127
შირაზმში	128
მთვარე და მგოსანი.....	129
* * * ათასწლეულებში მითვლემილი	130
ღმერთთა ომი	131

* * *	არაფერია სადარდელი.....	132
* * *	ბევრჯერ.....	133
* * *	სხვისი კი არა.....	134
* * *	მოლოდინში გაზაფხულის წვიმის..	135
* * *	ელვა კი არა.....	136
* * *	შოორ წარსულიდან მოგესმოდა.....	137
* * *	დამთავრებულა მიმწუხრის ლოცვა	138
* * *	„აიების“ ნაშიერნი,.....	139
ზვირთები		140
* * *	ეს კანონია წერამწერალის	141
* * *	გადაკარგულან სადღაც მთიები	142
* * *	ერთპირს წყალიც კი იძინებს	143
* * *	პოეტები პოეზიას	144
* * *	მეხთამტებ ხმაში გიდგას ქუხილი..	145
* * *	ოქროს მატყლიან ვარსკვლავთა ფარას.....	146
მარსიასი		147
* * *	სამოცდაათის მისდევ აღმართებს ...	148
ერიდა		149
* * *	ქრისტეს ჯვარცმა და ხატება.....	150
გაუა-ფშაველას პრემია – 2008.....		151
* * *	მოსულს დამიდან თუ არსაიდან.....	152
* * *	ათასწლეულთა იქიდან ისმის	153

გოლგური ზსალმუნები

* * *	მითიდან მოსულ შენს კოლხეთს.....	154
ხილვა:	ჰელეს დაღუპვა.....	155
* * *	წარსულში წევს ბახტრიონი.....	156
* * *	ა, ის ერთი ათასში.....	157
დამე	სვანეთში.....	158
* * *	სიმყუდროვეში ძინავთ სივრცეებს ..	159
* * *	ის პოეტია და ამბობს ირონიით	160
* * *	ზღვისკარად დღისგან მიტოვებულმა.....	161
* * *	ჯერ ცამეტისა არ იყო.....	162
* * *	ალბატროსივით ფრთების შრიალით.	163
* * *	თუ მიწა.....	164
* * *	კოლხია და ამიტომაც ..	165
* * *	ქუხილმა როცა ცის მინდორი	166
მდინარეები	და გზები	167
შემოდგომა	სოფელში.....	168
* * *	პარას ჭალაში გლეხეცაცები	169
* * *	სიცოცხლე თურმე არის წყვდიადი	170
* * *	თვით ზესკნელიც კი არარსებობს..	171
* * *	ნაპირთან პატარა ტალღები	172
კრწანისი –	1794	173
* * *	აყვავებული ტოტი აპრილის	174
ევროპა,	აზია.....	175

აჭა, ქაცი.....	176
* * * ო, საქართველო	177
* * * დამე ღრუბლებს მიაბოლებს.....	178
* * * ოქროს საწმისს ჰეგვას საქართველო..	179
* * * ადამის მოდგმა დარდმა, და.....	180
ჩემი ბუხარია	181
ფიქრი „კირბებზე“.....	182
* * * არც წვიმაა	183
* * * ვინაც არ იცის ცხოვრების.....	184
* * * მიეფარა ზამთრის ბალებს	185
* * * შორეული წარსულიდან.....	186
სოფელში	187
* * * დღის ნათელი ხმობს პელიოსს.....	188
* * * სიცოცხლე მუდამ მოდის ტირილით.	189
პეფესტო და თარხონი.....	190
მოხრილი	191
ღვთის სახლი.....	192
* * * გაშფოთებს ცის სიგრძე	193
* * * გზებ რომ პირი დაიბანა.....	194
* * * შენმა მზემ და სიცოცხლებ	195
* * * აიების კოლხეთია	196
* * * ხალხს ქარიშხლად მოევლინენ.....	197
ისევ ადამი და ევა.....	198

ქუდი მოუხადეთ პოეტს.....	199
* * * ღრუბლები მთებს ამოეფარნენ.....	200
* * * ლეგენდებით და მითებით	201
* * * ეს დღეები ძველსას არ ჰგავს	202
* * * თვლემა მორეულ გოჯის ციხიდან.	203
შენი მზე ამოვა.....	204
* * * ხმა წარსულიდან აღარ ილევა.....	205
* * * ქარიშხლიანი ჟამთასვლა	206
მეცხრე	207
* * * ვისაც კოლხეთის ზარავთ სენება	208
* * * დედამიწელთა ლოცვა-ვედრებას	209
* * * მძვინვარე ზღვა კი დელვას.....	210
უეცარი შეხვედრა.....	211
ცაა – კოლხეთის წარსული	212
* * * ცაშია თურმე გადაწყვეტილი.....	213
* * * ელვის მოვერცხლილი გასაღებით..	214
ზღვა და ქარი.....	215
* * * ცელს იქნევდა თუ	216
* * * აღარ არის საშველი.....	217
* * * წარსულიდან თუ პონტოს.....	218
ვარსკვლავიანი დამე.....	219
* * * შენ იჩხრიკები სამზე მეტი.....	220
* * * მოვარდისფრო ვარსკვლავები	221

* * *	აქა-იქ შავი ბოლავს ღრუბელი.....	222
* * *	დედის ნაჩუქარ ცხვირსახოში	223
* * *	ვერ ისვენებენ.....	224
	ფასკუნჯი.....	225
* * *	ვაჟას დაჭრილმა არწივმა.....	226
	როგორც იუდა.....	227
* * *	კაცის ყოფნა არის თურმე.....	228
	ლაშარობა – 1979	229
* * *	ასე ჩვევიათ მეფეებს	230
	დღეები	231
* * *	მზე ჩავიდა და	232
* * *	დასავლეთისკენ მიმავალი.....	233
	სპილოთა სასაფლაო.....	234
* * *	წარსულში მძინარ ათასწლეულებს ..	235
* * *	მიწით	236
	მეცხრე.....	237
* * *	ვითარც ზღვას ქარიშხალი.....	238
* * *	დღე.....	239
* * *	„ფრთები, ფრთები გვინდა...“	240

D. J. Gammie



ვაჟა ებრისელი

გოლჩური ფსალმუნები

100 ტომაზ
ტომი 67

VAZHA EGRISELI
“KOLKHURI PHSALMUNEBI”
ONE HUNDRED VOLUME
VOLUM 67

- | | |
|---------------------|-----------------------------|
| გამომცემლობის | |
| რედაქტორი | – ვახტანგ გაჩვილაძე |
| მხატვარი | – სპარტაკ ციცაძე |
| მხატვრული რედაქტორი | – ირაკლი უშვერიძე |
| ტექნიკური რედაქტორი | – ნანა ღვამიძე |
| კორექტორი | – გივა აგშილაშვილი |
| კომპიუტერული | |
| უზრუნველყოფა | – ნანა და დათო ყანეაშვილები |
| გამომცემელი | – პაპათა ლოლებაძე |
| ფასი 20 ლარი | |

თბილისი
2020



გამომცემლობა „კონვენციალი“

თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაია №4. ტე: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com